

180
1961



1961

2

საბჭოთა
ხელოვნება

მთავარი რედაქტორი—ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა
ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა
ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო
წულუკიძე (პ/მ. მ დივანი).

საბჭოთა ხელოვნება

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



8519

2

სახელმწიფო გამომცემლობა „საბოთა საპარტვილო“

თბილისი

1961





საგჰოთა საქართველოს
40 წლისთავისადმი
მიძღვნილი ფოტოგამოფანის
მოსამზადებელი მასალებიდან

„ზეიმობს დედაქალაქი“

ა. ბალაბუვის ფოტოგერტილი

ტიტულზე: „ლენინური გზით“.

თ. არჩვაძის ფოტო



სოციალისტური შრომის გმირი ა. ჯამაშვილი

ე. გინზბურგის ფოტო

ანდესტროული პეიზაჟი

პ. ლეინკოს ფოტო



„იალაღებზე“

ვ. გინზბურგის ფოტო

საქართველოს
გინეაგრაფია



„მწუცისი“

ო. თურქიას ფოტო

„ქართული ჩაი“

ს. ონანოვის ფოტო





ველი იდეების ზემოქმედებით გაიფურქნა მრავალრიცხვანი საბჭოთა კულტურა, რომლის საკანძურში ჩვენი თვალუწვდენელი საძიებლოს ყოველ ერს შეაქვს თავისი დიდი წვლილი.

1958 წელს მოსკოვში გამართულმა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების დეკადამ ცხადი გახადა, თუ რა მალალ მწვერვალზე მიაღწია ქართულმა საბჭოთა კულტურამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, რომ საქართველოს კულტურის მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა წყობილებამ შესაძლებლობა მისცა მათ განხორციელებინათ მალად მოწოდება ხელოვნებისა — ემუშავათ და შექმნათ ღრმად იდეური მაღალმასშტაბიანი ნაწარმოებები, შექმნათ ხალხისათვის, მისი ბედნიერებისათვის, მისი ნათელი შერებისათვის. პარტიის მზრუნველობით განხვევებული ქართული კულტურის მუშაკები, მწერლები და ყველა დარგის ხელოვნები მუშაობდნენ შთაგონებით, მიუღი შესაძლებლობით. და მათი შემოქმედება ხაყოფივ ყველა საბჭოთა პატრიოტის გულის გამხარებელია. ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს იმ დიდი სულიერი კულტურით, რომელიც ამ ორმოცი წლის მანძილზე შექმნა.

ჩვენი ხალხი ყოველთვის ამყოფდა და ამყოფს თავისი უძველესი და ამჟამად აყვავებული სოციალისტური კულტურით და ხელოვნებით, — მუსიკით, თეატრით, სახვითი ხელოვნებით და კინემატოგრაფიით.

ახალ დრამატულ ქართულ პროფესიულ თეატრს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა პოეტმა და დრამატურმა გიორგი ერისთავმა (1850 წ.), რომელმაც შექმნა დასი, რეპერტუარი და იწყო სპექტაკლების მართვა.

1858 წლის 2 იანვარი ქართული პროფესიული თეატრის შექმნის სახეობა თარიღია. ამ დღეს ქართულმა დასმა წარმოადგინა გ. ერისთავის „აყრა“ და ხელახლა გააცოცხლა ქართველი ხალხის თეატრალური სული. გიორგი ერისთავის თეატრი და დრამატურგია დაფუძნებული იყო რეალისტურ ტრადიციებზე, მისი სკოლის მახინობები რეალისტურად ანახლებდნენ აწარულ პერსონაჟებს და აცოცხლებდნენ ცხოვრებისეულ ფაქტებს. მაგრამ ამ თეატრს მალე შეემატა მხრუნელობა ხელისუფალთა მხრივ (იგი არ მისდევდა ცარიულ პოლიტიკას), მატერიალურმა ხელმოკლეობამ იძულებული გახადა გიორგი ერისთავი თავისი თეატრი 7-8 წლის მოღვაწეობის შემდეგ დახურულია გამოეცხადებინა.

მხოლოდ დღია ჰეგვავაძის, აკაკი წერეთლის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეთა თავდადებული საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ ქართული თეატრი კვლავ აღდგენილიყო 1879 წელს.

თავიდანვე ფართო და დიდი ამოცანები დაუსახეს თეატრს ჩვენი კულტურის მესვეურებმა. მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ხელოვნება და ლიტერატურა განსაკუთრებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით. სწორედ ეს პროგრესული იდეები იყო საფუძველი ჩვენი თეატრის პროგრესსა.

ქართული ენის, ქართული კულტურის სწიშნის, მისი ეროვნული ბუნების დაცვის საქმეში თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა. ეს იყო ერთგვარი ტაძარი, სადაც იწრებოდა ერის სული, ინერგებოდა ახალი იდეები. უაღრესად ძნელი პირობების მიუხედავად ამ თეატრმა ჩვენი კულტურის ისტორიაში მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩასწერა.

მე-19 საუკუნის ქართულმა თეატრმა აღზარდა მახინობებისა და რეცესიონების მთელი თაობა; ამან გახადა შესაძლებელი კიდევ უფრო გაცხოველებულიყო თეატრალური საქმიანობა ანა მართო განხორციელებულიყო თეატრალური სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით. ქუთაისში, ამ უაღრესად თეატრალურ ქალაქში, რომელიც თავისი ნი-

ზროვისა და შემოქმედების დიდი გზა

დავით ჩხიკვიშვილი
საქ. სსრ კულტურის მინისტრი

თელი ჩვენი რესპუბლიკა, სახალხო მშენებლობის ყოველი უბანი განსაკუთრებული ენთუზიაზმით და შემოქმედებითი ენერჯის სრული დაძაბვით მუშაობს, რომ ღირსეულად, დიდი შრომითი წარმატებებით შეხვდეს ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. გონების თვალთ გაქცერის რა განგვიღვ გზას, საბჭოთა საქართველოს ყოველი მოქალაქე თვალმათივ ხედავს ბრწყინვალე მიღწევებს, მოპოვებულს მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მუხმ საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს შემოინათა, საფუძველი დაუდო ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნის ერს, მისხო ჩვენს ქვეყანაში ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაცია, სოციალური და ეროვნული ჩაჯვრის ყოველგვარი ფორმა. ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა ხალხმა განახორციელა უდიდესი სოციალისტური გარდაქმნა იმეონომიკასა და კულტურაში, ყოფაცხოვრებასა და ადამიანთა შეგნებაში. სოციალიზმისთვის ბრძოლაში აღზარდნენ და ფოლადივით გამოიწვრთნენ საბჭოთა ადამიანები, გაიფურჩქნენ და გაიზარდნენ ხალხის — ისტორიის ამ ნამდვილი შემოქმედის სულიერი ძალები.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაბოვარია საბჭოთა ხალხების ფორით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის არნახებულ აყვავება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მოხდა უდიდესი კულტურული რევოლუცია. მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყო-

ჭიერი ძალებით ყოველთვის უწევდა მეტოქეობას თბილისს.

ქართულ თეატრს არასოდეს ქარაჩეკტილად არ უცხოვროს. იგი გულდასმით ეცნობოდა მსოფლიო თეატრალური კულტურას და ყოველთვის სიხალისე კურსში იყო. ჩვენს თეატრალური გასაკუთრებით კარგად იცნობდნენ რუსულ თეატრალურ კულტურას (მრავალი მსახიობი და რეჟისორი აღიზარდა რუსეთში და მრავალი მათგანი ნებაგადა ჩვენში სტანისლავსკისა და სახანტრო თეატრის პრინციპებს), ფრანგულსა და გერმანულს, ვაღმომკონდათ იქიდან ყოველთვის პროგრესული და მისაღწევი ჩვენი ეროვნული კულტურისათვის. სწორედ ამის გამო რუს თეატრის თავის არსებით იყო ერთგულნი, მიუხედავად ზოგიერთ მიზნინარეობათა ხანმოკლე გავლენისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თეატრს. რუსეთში და საზღვარგარეთ მრავალი წლის მოღვაწეობის შედეგად, საქართველოში მოწვეული იქნა სახელგანთქცილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ქართული თეატრის საექსპერიმენტო დადგმა — 1922 წლის 25 ნოემბერს მან დადგა ლოპე დე ვეგეს „ფუნტი ოვენუნა“, რომელმაც სათავე დაუდო ქართული თეატრის ახალ ეტაპს.

რამი იყო მარჯანიშვილის მოღვაწეობის მთელი არსი? საქართველოში ჩამოყალიბდა ქ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა მოუხდა მრავალ თეატრში, მან განვლო მსახიობობა და რეჟისორობის ძიებებით აღსავსი რთული გზა. მან ერთმა პირველთაგანმა გაუყავა გზა გორკის დრამატურგის რუსულ სცენაზე, იგი ერთი პირველთაგანი იბრძოდა რევოლუციური რეპერტუარისათვის, ქემპარიტი თეატრალიზმისა და თავისუფალი არტიკული შემოქმედებისათვის. ქართული თეატრი, რომელიც მარჯანიშვილის ჩამოსვლის პერიოდში მიმდებარდა კრიზისის განვიცდა, მოქცეული იყო შტამისა და რუტინის ტყვეობაში, საექსპერიმენტო მხოლოდ დიდ აქტიორთა მიზანსცენებში მივიღო და არ იგრძნობოდა რეჟისორული კულტურა და აზროვნება. ქ. მარჯანიშვილმა უმოკლეს ხანში აიყვანა ქართული თეატრის ევროპულ სიმაღლემდე. უპირველესად ქართული თეატრის ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობთა მთელი თაობა, აღიზოთ ისინი ახალ ძიებათა (ცეცხლი, თეატრში დამატებული სინთეტიკობა, აღზარდა სინთეტიკური მსახიობთა ნიჭიერი ძალები. იგი ყოველთვის ეძებდა ახალ თეატრალურ ფორმებს, თამაშად იყენებდა შექრალიღებსა და კიბოს, ორიგინალურ კონსტრუქციებს და მძაფრ თეატრალურ ფერადონებას სცენის გაფორმებაში. მისი ყოველი საექსპერიმენტო იყო ზეიმი თეატრალური ხელოვნებისა. იგი ერთ იმიმედნა მშვენი, წყნარ შემოქმედებას, მოთხოვრებად ამაღლებულ, ყოფითი დეტალებისაგან თავისუფალ თამაშს. ვერ გეტყვობა გულცივად თქმულ სიტყვას, სურდა მოესმინა მღელვარე ხმა, არ შეეძლო დანება მსახიობი, რომელსაც ნახაოს ესთეტიკური განცდა არ ჰქონოდა. ყოველთვის ეს, ყალბი თეატრალიზმისაგან ასე რიგად დამორჩეული, მიმართული იყო ავტორის სულის გამოსაკვირვებად.

იგი ხშირად ამბობდა, რომ თეატრში უნდა იყოს ზეიმი: „თეატრის დანიშნულება ერთია — მოუტანოს სინარული მაყურებელს“ — მაგრამ ზეიმი და სინარული თეატრში არ იქნებოდა ამაღლებული და მნიშვნელოვანი იდეების შემცველი ნაწარმოების გარეშე. სწორედ ამიტომ დადგა მან „ფუნტი ოვენუნა“, „პამლეტი“, „აურიდე ავოსტი“, სადაც გამოვლინდნენ ნიჭიერი მსახიობები, რომლებმაც შემდგომ შემქმნეს ქართული თეატრის სახელი და ღირება (უშანკა ჩხიძე, ვერეკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, სერგო ზეპარიძე, ვასო გომიანიძე, შალვა დამაპოძე და სხვ.).

ქ. მარჯანიშვილის ჰქონდა უტყუარი ალბი ნიჭის აღმოჩენისა. ეს მან მრავალჯერ დაადასტურა თეატრში და თეატრის გარეთაც, როცა შემოქმედებით საქმიანობაში ჩაება ახალგაზრდა მსახიობები და კომპოზიტორები, მწერ-

ლები და პოეტები, მან პირველმა იგრძნო დრამატურგული პოლიკარბე ვაკაბაძის დიდი ნიჭი და დადგა მისი „ვერეკო თოთაბერი“, რომელმაც უშანკა ჩხიძეს მოუტანა ახალი დღეება, მანვე დადგა კ. კალაძის, მ. დლიანის და სხვათა ახალი ნაწარმოებები. იგი ეცნობოდა თანამედროვეობა ექცია თეატრის წინსვლის მთავარ ფაქტორად. მისივე მხრუველობით და ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ რეჟისორები. სულ მალე წინ გამოვიდა ორიგინალური ნიჭისა და ტემპერამენტის რეჟისორი სანდრო ახმეტელი, რომელსაც მსგავსად ყველა დიდი და ორიგინალური შემოქმედებისა, თეატრალური ხელოვნების საკუთარი პრინციპები და სტილი გააჩნდა. მან თავისი დიდი წინამორბედისაგან აიღო მთავარი — იდეური სიმაღლე, სინთეტიკური მსახიობის იდეა, შესანიშნავად გამოიყენა ქართული მსახიობის ბუნებრივი მიღრევილება მკვერი თეატრალიზმისაკენ.

ახმეტელის მოღვაწეობა რუსთველის თეატრში — ეს არის პერიოდი რევოლუციური-რომანტიული სტილის დამკვიდრებისა თეატრში, სანდოელის ამაღლებულად, საქმეტრულად გადმოცემისა. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა ამ თეატრის შემოქმედებითი სახე — სახე რომანტიულ პათეტიკური თეატრისა. ახალმა დრომ, ახალმა რევოლუციურმა მერებმა ხელოვნების წინაშე ახალი ამოცანები დასახეს. კოტე მარჯანიშვილს და სანდრო ახმეტელსაც კარგად ესმოდათ ამ ამოცანების მთელი შინაარსი, მაგრამ მის განმარტავად სხვადასხვაფერ ფორმებს ეძებდნენ, ამან გამოიწვია ამ ორი რეჟისორის დამორჩევა, და მიუხედავად რუსთველის თეატრისათვის ამ მტკიცეული ფაქტისა, ქართული თეატრალური კულტურისათვის ეს დამორჩევა ფრიად სასარგებლო გამოდგა. ქ. მარჯანიშვილმა ქუთაისში შექმნა მეორე თეატრი, რომელმაც სულ მალე საკავშირო აღიარება მოიპოვა. სანდრო ახმეტელი კი სათავეში ჩაუდგა რუსთველის თეატრს, რომელმაც მალე დადგა საექსპერიმენტო მნიშვნელობის საექსპერიმენტო-მიღერის „ყარაღ-სული“, სადაც ცაცოცხლად ახალგაზრდა მიღერის მგზნებარე სული, ს. შანიშვილის „ახორი“ — რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული; „ლაპარა“ — პოეტური სტილი აღმტკიცდა; „რევუტა“ და სხვა. სანდრო ახმეტელის დამსახურება ისაა, რომ მან ქართულ თეატრს ქემპარიტად ერთგულად მსახიობი მისცა, განდევნა მისთვის უცხო ყოფითობა და სიყალბე, მასაც ქ. მარჯანიშვილის დარად, საზეიმი განწყობილება შემოქმენდა თეატრში, მაგრამ ყველაფერი ეს აღმტკიცებული იყო ეროვნული თავისებურებით. მართალია, ამ ძიებებში სანდრო ახმეტელს ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ძირითადი ისტორიული სიმაღლე მის მხარეზეა და თეატრის შემოქმედებითა პრაქტიკადაც დაადასტურა, რომ რუსთველის თეატრი მისი იმარჯებდა, როცა იგი თავისი დიდი რეჟისორობის პრინციპებს უფარდებდა ახალ მოთხოვნილებებს, ასევე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მისი იმარჯებდა, როცა იგი თავისი დამარტისელის შემოქმედებითა პრინციპებს ერთგული რჩებოდა. ამ აზრის სისწორე დადასტურებს ქ. მარჯანიშვილის თეატრის პირველმა გასტროლებმა, შემდეგ — საკუთარი თეატრალური ოლიმპიადამ, სადაც რუსთველის თეატრმა მოიპოვა უბრუნებელი გამარჯვება. ხოლო ქართული თეატრის რევოლუციური საბოლოო განმტკიცად ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლარატი მისივე 1937 წელს, როცა ჩვენს საექსპერიმენტო პირდაპირ ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილიდა. ეს წარმატებები უზურუნეული საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მხარდაჭერა, ისინი ყოველთვის დიდ ზღუნებას იჩენდნენ თეატრის მიმართ და დროულად მიუთითებდნენ შეცდომებზე. ყოველივე ამან განაპირობა თეატრალური ხელოვნების სწრაფი განვითარება საქართველოში, რომელიც ახლა ერთ-ერთი ყველაზე თეატრალური ქვეყანაა, რომლის მსახიობებსა და რეჟისორებს ბევრგან ეცნობენ.

ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ შემდგომ განვითარა ქ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ტრადი-





ვ. პაბუჯიანი — ოტელო (ბალეტი „ოტელო“)

ციველი და ახალი გამარჯვება მოიპოვა. ამის ნათელი დადასტურებაა რუსთველის თეატრის სპექტაკლები „ოტელო“, „არსენა“, „ილიდი ხელმოწივე“, ხოლო უახლოეს დროში — დ. ალექსიძის „ოდიშის მეფე“ და „ნახტარიონი“, მ. თუმანიშვილის მიერ დადგმული „კოპოუტის“ (როცა ასეთი სიყვარულია).

მარჯანიშვილის თეატრმა კი შექმნა ისეთი ღირსშესანიშნავი სპექტაკლები, როგორც არის ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ (რეჟ. ვ. ყუმიანიშვილი), „ხევის ზეზურად კვდებიან“ (რეჟ. ვ. ახვაჯიანიძე და თ. კანინაშვილი), ვაჟა ფშაველას „მოკეთილი“ (რეჟ. არჩ. ჩხარტიშვილი), „რიჩარდ III“ (რეჟ. ვ. ყუმიანიშვილი), ხოლო უკანასკნელ ხანს კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რეჟ. ვ. ლორთქიფანიძე).

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლადე რუსთველის და მარჯანიშვილის თეატრებმა გამოავლინეს არა მარტო მაღალი პროფესიული კულტურა, არამედ, საერთოდ, ქართული თეატრალური შემოქმედლების თავი მისებურება. ყოველივე ის, რაც საუკეთესოა ქართულ რეჟისორულ და სამსახიობო ხელოვნებაში, თავს იყრის ამ ორი თეატრის შემოქმედებაში. ამის კიდევ ერთი ნათელი დამადასტურებელი იყო რუსთაველის თეატრის გასტროლენი მოსკოვსა და კიევში, სადაც ჩვენი სპექტაკლებს დიდი წარმატება ხედავდა. განსაკუთრებით შესამჩნევია ვადა ის გარემოება, რომ ჩვენი თეატრებში თავიანთ წამყვანი ძალაა ახალგაზრდობა, რომელმაც აიკისა შემოქმედებით და ნიჭით უკვე დაამტკიცა, რომ იგი სახელოვნებო ტრადიციების რეალური მემკვიდრეა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს დამსახურება თეატრალური ინსტრუქტორის, რომელმაც ქართულ თეატრს მრავალი ნიჭიერი პროფესიონალი შექმნა.

ამჟამად თქვენი თეატრების ამოცანაა შექმნან ისეთივე

მნიშვნელობის, სიღრმისა და ძალის სპექტაკლები თანამედროვე თემაზე, როგორც მათ შექმნენ კლასიკურ დრამატურგიაზე დაყრდნობით.

ჩვენი თეატრების უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მათ რეპერტუარში წამყვანი ადგილი ჯერ კიდევ არ უჭირავს საქართველოს დღევანდელი ცხოვრების ამსახველ მიესებს. თეატრებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქართველ მწერლებთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარებას. ქართული თეატრის წარსულმა და დღევანდელმა პრაქტიკამ დადასტურა ამ კავშირის ცხოველყოფილობა. სამწუხაროა, რომ თეატრები ზნორად ექცევიან თვითღინებით შემოსული მიესების გავლენის ქვეშ, ხაკლებ ინიციატივას იჩენენ იმ მხრივ, რომ თვითონ შეუკვეთონ ავტორებს მიესები თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე. დროა თეატრებმა და მწერლებმა თავი დაანებონ ურთიერი ბრალდებებს და ხელისუფლებას შექმნან საინტერესო, ამაღლებელი ნაწარმოებები. თანამედროვე რეპერტუარის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე თეატრის შექმნა. ეს ქვეშაირიტება მიუღის სერიოზულობით უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა შემოქმედებებმა მუშაკებმა. ეს გადაუღებელი ამოცანაა.

ჩვენი თეატრები აღრევე შეუდგენენ მზადებას ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულის შესახვედრად. მარჯანიშვილის და რუსთაველის სახელობის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა თეატრებმა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი დადგმა უძღვეს ამ თარიღს („კოლხეთის ცისკარი“, ქუთაისისა და მარჯანიშვილის თეატრებში). რუსთველის თეატრმა სპეციალურად მოამზადა ს. კლდიაშვილის „მყდრო საგანე“, რომელშიაც ასახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, ამაზღვის პიეტე აბაშიძის „სამ ვაშლს“, სადაც თანამედროვე ცხოვრება ასახული.

დიდის ენთუზიაზმით და შემოქმედებითი აღმატლებით ჩატარდა სახალხო თეატრების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება. ყველაზე ღირსშესანიშნავი მომენტიც იყო, რომ ამ თეატრებს რეპერტუარში წამყვანი ადგილი ეჭირა თანამედროვე მიესებს, რომელშიც ასახული იყო ქართველი ხალხის ცხოვრებითი ცხოვრება და მისი უახლოესი რევოლუციური წარსული. ამ დათვალიერებამ ცხადყო აგრეთვე თუ რა საინტერესო ძალები მოღვაწეობენ თვითშემოქმედების წიაღში.

სახალხო თეატრებს უდიდესი მხატვრულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მათი უპირველესი ამოცანაა მშრომლების კომუნისტური სულიერებითი აღზრდა, ჩვენი დროის პროგრესული იდეების პროპაგანდა. სახალხო თეატრების პირველი წარმატებები ხალხის შემოქმედებითი სულის საუკეთესო დადასტურებაა, კომუნისტური საზოგადოების ხელოვნების პირველი ნიშნებია. ამიტომ მას ყოველმხრივ უნდა დაუჭიროთ მხარი, განავითაროთ, წვახალისოთ, შევუქმნათ საკუთარი რეპერტუარი.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამახურეული ანსამბლის გრანდიოზული წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანსამბლის ზღმძვანელებს, კორეოგრაფის შესანიშნავ ოსტატებს. რამაშვილსა და ი. სუხიშვილს.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პროპაგანდის საქმეს ენერგიულად ემსახურება ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ა. კახაძე), წარმატებით გამოიწია სახელმწიფო კვარტეტი და ფილარმონიის სხვა კოლექტივები.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, წითელი კუთხეები ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ და ასრულებენ მშრომლებს მასობრივი კომუნისტურად აღზრდაში, მათი კულტურული ღირსი, პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებაში. უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგა-

ნაზაცებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ხელშეწყობა და დახმარება, რის შედეგად გაუმჯობესდა მათი მუშაობა.

საქართველოში მრავალი ისეთი კულტურის სახლი, კლუბი, სასპორტივო, ბიბლიოთეკა, რომელიც ვადაცქეულია კულტურის ნამდვილ კერად და მშრომელთა სიყვარულით სარგებლობს. მაგალითად, დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში მასარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კულტურის სახლი, რომელთანაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრე. აქ მუშაობს სოფლის კინომოწყობის უკუთა ჯგუფი, რომელმაც შექმნა ცნობილი სურათი „ჩენი სურათი“, ამ სურათმა კინომოყვარულთა კინოფილმების საკემპრო დთავალიერებაზე პირველი არემია მიიღო. აქვე გადაიღეს მეორე სურათიც „შვიდწლიანი განთიადზე“ და ქმნიან ახალ კინონაჭრევებს „შრომისა და სიმღერის დაამიანებში“, რომელიც მიღწვილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის-თავისადმი.

წლითწლოვით იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, სისტემატურად უმჯობეადება მათი მატერიალური ბაზა.

მიუხედავად წარმატებისა, მთელმა რიგმა კულტურის დაწესებულებებმა ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გარდაქმნეს მუშაობა. ბევრი ბიბლიოთეკა მოწყვეტილია საწარმოო, ცხოვრებას, ცუდად აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნებს პოლიტიკურ, საწარმოო, მხატვრულ, მეცნიერულ-ტექნიკურ და საცნობარო ლიტერატურაზე.

უფრო ფართედ უნდა გამოვიყენოთ მშრომელთა მასების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის სახალხო თეატრები. ჩვენი საზოგადოებრიობის ვალია ყოველმხრივ მზარდი დაუჭიროს სახალხო თეატრის მუშაობას, რომელიც თავიანთ ძირითად სამუშაოსთან ერთად ახერხებენ უანგაროდ ემასხურონ ჰუმარიტად კეთილშობილოურ დიდ სახალხო საქმეს. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითმოქმედება პროფესიული ხელოვნების კადრების შევსების უმდიდრესი წყაროა. ბევრმა ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა მხატვრულ თვითმოქმედებაში აიღვა ფეხი. ჩვენი თეატრის მშეებულა ა. ხორავა ერთ დროს ფეული სენაკის სცენის მოყვარე იყო. გამორჩეული ქართველი მსახიობი გ. გოძიაშვილი სახლური შეიქმნილიყო მისივე მიერად.

ასევე დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი რესპუბლიკაში კულტურის უნივერსიტეტის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს წარმოებისაგან მოუწყვეტილ მუშებს, კულტურულ მუერნებს, მოსამსახურეებს მისცეს სათანადო ცოდნა ლიტერატურის, მუსიკის, სახეიო ხელოვნებისა და ეს-თეტიკის დარგში.

მასების პოლიტიკური განათლებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოცდილების გავრცელებებისათვის, ლიტერატურული, დრამატული და მუსიკალური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რადიოს. რადიოსამშენის განვითარება საქართველოში გვიანტური ნაპიჯებით წავიდა წინ. სატრანსლაციო წერტილის რაოდენობა 1965 წლისთვის გაიზრდა 376.200-მდე, უპირატესად სოფლად. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება ტელევიზია. დაწყებულია ორი მძლავრი რეტრანსლაციონის მშენებლობა სინდასა და თელავში. თბილის-ქუთაისის უბანზე დაიწყება რადიორელეუბი ხაზის მშენებლობა, რომელიც შეიგდება გავრქელებულ სოხუმ-სოჭუმდე, რაც შესაძლებელს გახდის თბილისის ტელეტეატრის დაკავშირებას მოსკოვთან.

ქართული საბჭოთა სოციალისტური კულტურის აყვავების ერთ-ერთი მაჩვენებელია ბეჭდვითი სიტყვის განვითარება. სისტემატურად იზრდება წიგნებისა და პერიოდიული პრესის ტირაჟი. თუ 1913 წელს საქართველოში გამოცემული იყო 229 დასახელების წიგნი 395.540 ეგზემპლარის რაოდენობით, 1955 წელს გამოიცა 11.400.000, ხოლო 1958 წელს 14.900.000 ცალი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემას. რევოლუციამდე რუსთაელის „ვეფხისტყაოსნის“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სულ რამდენიმე გამოცემა არსებობდა. საბჭოთა პერიოდში კი „ვეფხისტყაოსანი“ 26-ჯერ გამოიცა 247 ათასი ტირაჟით, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი 14-ჯერ 102 ათასი ტირაჟით, ხოლო ვაჟა-ფშაველას თხზულებანი 34-ჯერ თითქმის ნახევარი მილიონი ტირაჟით.

აყვავდა კულტურა აფხაზეთისა და აჭარის ასრ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მათი ნიჭიერი მწერლები, მსახიობები, მხატვრები, მოცევავეები შესანიშნავად გამოვიდნენ 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე.

„მეორეტელი ცეკვა“ ბალეტ „ოტლოდა“





მევილიანე გ. ციკმელიძე

ჩვენი მიღწევები უდავო და აშკარაა. მაგრამ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე დღემდე გავციკვითვითა. ამხანაგ ხ. ს. ხრულაშვილის გამოცემები „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მიჭირად კავშირისათვის“ ახალ კორიზონტებს ხსნის სამჭოთა ხელოვნების თემატიკა წინაშე.

საკვ. X X ყრილობაზე პარტიისა და ხალხის სახელით წამოყენებული იქნა მოთხოვნა, რომ სამჭოთა ქვეყნის ლიტერატურა და ხელოვნება გამოვიდეს პირველ ადგილზე მსოფლიოში არა მარტო იდეური მიზანისა და სიმბოლოს, არამედ მხატვრული ირსებითაც. ამის შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვახდენთ თვითქმედებითი ინტელიგენციის მივიღო ძალების მოზილიზაციას. საქართველოს კულტურის ფრონტის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ ამ ამოცანის პირნათლად და ბოლომდე შესრულებისათვის...

უხსოვარი დროიდან, მუსიკა ღრმად არის შეჭრილი ქართველი ხალხის ყოფაში, მის სულიერ ცხოვრებაში. ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება საუკუნეების საყვარელი, იგი ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფლობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გათამაშებულია. ქართული ხალხური სიმღერის, კერძოდ, საგუნდო სიმღერის უნიკალობაზე ბევრი რამ თქმულა და იგი გამბედა არა მარტო ქართველი მუსიკოსების კვლევების საგანი. თითქმის საქართველოს ყოველ კუთხეს თავისი წესილი შეუტანია ეროვნულ მუსიკალურ ფოლკლორში და სხვადასხვა მხრივ გაუძლიერებია იგი. ასე, განუყოფრებელი ორიგინალიობის ბეჭედი ახს ქართულ-კახეთის მონუმენტურ საგუნდო ეკოსს, ვერვისა გასაოცრად დინამიურ და მრქვეთურ სიმღერებს, სამეგრელოს უფაჩოზე მუსიკალურ ლირიკას, სავანეთის ვაქაყურ და ძალიან გუნდებს. ყველა იმინი სამართად ნაირფეროვანი არიან, მაგრამ მათში შევირძინება საერთო თვისებები, ღრმა და გართიანი კანონზომიერებანი. ცხოველ ინტერესს იწყებს ის ეკრემობა, რომ ქართულმა საგუნდო სიმღერამ, ხალხის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფმა, საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა და განავითარა თავისი ორიგინალური მხატვრული ნიშნები.

ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედება ამ საუკუნეების მანძილზე — ეს არის ანარაგო ხალხის სულიერი სისხტაკისა, მისი შრომისა და ბრძოლისა, თავი-სულების მოყვარეობისა, სამშობლოს დასაცავად მისი დარღამულობისა.

ადრეული საუკუნეების ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლები მოწმობენ იმას, რომ საქართველოში დიდი ხნის წინათ ყოფილა ჩასახული და განვითარებული პროფესიული მუსიკალური კულტურა. უძველესი დროიდან ქართველი ხალხს ჰქონდა საკუთარი სარკის დამწერლობა, რომლის გახსნა-გამოფერაზე დღეს მუშაობენ ქართველი სამჭოთა მეცნიერები.

გასული საუკუნეიდან, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან, როდესაც იწყება საფუძვლიანი ათვისება და განვითარება მთავრდება ქართველი ხალხის მუსიკალური სავანეებისა, არსებობის იწყებს მეცნიერული ფოლკლორისტიკა. ამ დიდ სახალხო მოძრაობაში, რომელიც უშუალოდ ემბარება ე. წ. „თერგალეულთა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეობას, ჩამბულია ქართველი საზოგადოების მოწინავე და ნიჭიერი ძალები. არსდება ეთნოგრაფიული გუნდები, რომლებსაც არა მარტო ქართველ ხალხში, საქართველოს ფარგლებს გარეთ გააქვს ხალხის მრავალსაუკუნოვანი მოხაზვარი. ამ ხანებში იწყებს ჩასახვას ეროვნული საოპერო და სარომანსო ჟანრები, რომელთა „კლასიკური პერიოდის“ ფორმირება გრძელდება ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე; ამ დროს გაიძლიან საბოლევო ქართულ კომპოზიტორები მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ვ. დოლიძე და სხვ. მათი შემოქმედება განსაკუთრებული იყო მაღალი პატრიოტიზმით, ხალხის ინტერესებით, დაფუნებული იყო მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურაზე, ხალხურ საწყისებზე, ამ კომპოზიტორთა უძეტესობა მუსიკალურ განათლებას იკმბდა რუსეთში, ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის პროგრესულ ინტელიგენციასთან.

ახალი ერის ქართველი ხალხის მუსიკალურ ცხოვრებაში დაიწყო 1921 წლიდან, საქართველოში სამჭოთის ხელისუფლების დამყარების დროიდან. პარტიისა და ხელოვნულების ყოველდღიურმა ზრუნვამ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება გაუძლიერებდაზე, მუსიკალური სწავლების საყოველთაო მასშტაბით დაიდა შეწყდა ხელი პროფესიული კულტურის მასობრივ ამაღლებას. უდიდესი სარბილი და მასობრივი ხასიათი მიეცა ხალხურ თვითშემოქმედებას. აუარებელი თვითშემოქმედი კოლექტივი წამოიზარდა ამ ხანებში. ისინი მოულობენ ხალხს, პარტიისა და მთავრობის დიდ მხარდაჭერას. სისტემური ხასიათი მიეცა მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადებს.

სამჭოთა ხელოვნულების წლებში დაავიკრვინეს თავიანთი შემოქმედება და მოღვაწეობა ქართული მუსიკის კლასიკოსების, ამ ხანებში დაიდა ეროვნული საოპერო ხელოვნების ისეთი უაღაპარიანი ნიშნებები, როგორცაა ზ. ფალიაშვილის „დაისი“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ციხერი“, დადგმული იყო აგრეთვე დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის ოპერები.

წამოიზარდენ და დავაკაცდენ ქართველ კომპოზიტორთა მთელი რიგი თაობანი. სამჭოთა ხელოვნულების წლებში წარმოიშვა ეროვნული მუსიკალური შემოქმედების მთელი რიგი ჟანრები. ასე, წარმოიშვა და განვითარდა ქართული სიმფონიური, ორატორიული, საბალეტო, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა.

შეიღება დავასახელით მთელი რიგი კომპოზიტორები და წარმოიშობები, რომლებმაც ქართულ სამჭოთა მუსიკალურ კულტურას შრომა გაუქვეს სახელი და რომლებმაც სხვადასხვა კუთხით გამოვლინდა ეროვნული შემოქმედებითი ზეგნის ნაირგვაროვნება, მაღალი პროფესიონალიზმი, დამყარებული კლასიკური და თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების რეალისტურ, პროგრესულ ტრადიციებზე. ამ თხზულებებს შორის აღინაშნავთ მ. შველიძის, ა. ბალანჩივაძის, ო. თაქთაქიშვილის სიმფონიებს, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, შ. კვერანძის, ნ. სასიძის ინსტრუმენტულ კონცერტებს, ა. ჩიმაძის, ა. მაჭავარიანის ორატორიებს, რ. ლაიძის, ა. შვერნაძის სიმფონიური მინიატურები, ს. ცინცაძის, ა. შვერნაშვილის, ნ. გაუთიაშვილის კამერულ-ინსტრუმენტულ დაწარმოებებს. მათში იგრძნობა მაღალი იდეური მიზანდასახულობა, თანამედროვეობის პრობლემატიკის, ჩვენი სოციალისტური სინამდვილის მრავალფეროვნება ასახვა.

ქართული სოციალისტური კულტურის ერთ-ერთ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ეროვნული ბალეტის შექმნა. გამოჩენილი მოცეკვაისა და ქორეოგრაფის, სამჭოთა

კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ შაბუკიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეროვნული საბალეტო სკოლა. მისი ხელმძღვანელობით არსებულმა საბალეტო კოლექტივმა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე განახორციელა ქართული ორიგინალური ბალეტის დადგმა. შეიქმნა შესანიშნავი საბალეტო სპექტაკლები: ა. მაღანჩიავის „მთების გული“, გ. კილიაშვილის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“ და „მშვიდობისათვის“, ბოლოს ა. მაჭავარიანის „ოტელო“.

(ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო კოლექტივი მუშაობს ს. ცინცაძის ბალეტის „დემონის“ დადგმაზე). ამ სპექტაკლების როგორც ქორეოგრაფიაში, ასევე მუსიკაში დიდი წარმატებით იქნა ერაკლილი კლასიკური საბალეტო ხელოვნებისა და ქართველი ხალხური ცეკვების სინთეზის საკითხი. ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების მიღწევათა დიდი დემონსტრაცია მოხდა 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლამაციაზე. არსაკლებ დაიარება პიოვ ქართულმა ხალხურმა საცეკვაო ხელოვნებამ. ცნობილია, თუ რა რეზონანსი ხვდა საქართველოს ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს (ხელმძღვანელები: ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი) ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქართული ხალხური შემოქმედების მეორე თვალსაჩინო კერა — საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდა ლობჯინა ანზორ კავსაძე უძღვას სათავეში.

ქართული საბჭოთა კომპოზიტორების ბევრი ოპერა დაიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში, მათ შორის, შ. შველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“, ა. ანდრიაშვილის „კაიო ყაჩაღი“, ა. კერესელიძის „ბაში აჩუკი“, ა. ბუკიას საბავშვო ოპერა „დაუბატყებელი სტუმრები“, დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარაძალი“, ა. ანდრიაშვილის „ზაფხვი“. საბჭოთა საქართველოს 40 წლისთვის თეატრი უძღვნის ახალ საოპერო სპექტაკლებს: შ. შველიძის „დიდოსტატის მარჯვენას“, ო. თაქთაქიშვილის „მინდიას“, ახალგაზრდა კომპოზიტორის ირ. გეჯაძის ახალ ოპერას და სხვ.

ქართული მუსიკალური კულტურის ერთი უნიშვნელოვანესი კერაა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. დიდი ტრადიციები აქვს ამ თეატრს. მის სცენაზე დადგმულია ეროვნული, რუსული თუ დასავლეთევროპული კლასიკისა და თანამედროვე საოპერო და საბალეტო შემოქმედების მრავალი საუკეთესო ნიმუში. მომღერალ-მომცეკვეთა, დირიჟორთა და რეჟისორთა მრავალ თაობას უმოღვწევია ამ თეატრში. მათი დამსახურება აღბეჭდა ქართული კულტურის ისტორიაში, მათ შორის, არიან აწუ გარდაცვლილი მომღერლები: გ. სარაჯიშვილი, ო. ბახტაშვილი, ს. ინაშვილი, ნ. ქუშინიშვილი, გ. ქაშაიაშვილი და სხვ., დირიჟორებიც: ფალიაშვილი, ე. მიქელაძე, შ. აზმაიფარაშვილი, რეჟისორი ალ. წუწუნავა და სხვა.

ქართულ საბჭოთა საოპერო ხელოვნების ამშვენებენ მომღერლების დ. ანდლუაძის, პ. ამირანაშვილის, დ. გამარკელის, ე. სობახიძის, ნ. ცოხიასი, შ. ნაკაშიძის, ბ. კრავიშვილის, დ. შველიძის, ლ. ვოკოჩიძის, ზ. ანჯაფარიძის, ნ. ანდლუაძის, შ. ამირანაშვილის, თ. მუხუტელიანის, შ. კიკნაძის, დირიჟორების ო. დიმიტროვსკის, დ. შირხუტლავას, გ. ფალიაშვილის და თეატრში ახლანახან მსოფლიო გ. აზმაიფარაშვილის და სხვათა სახელები.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქუთაისში სახალხო ოპერის თეატრის გახსნა. მხატვრული თვითმოქმედების 1960 წლის ოლიმპიადაზე თბილისულმა მაყურებელმა ნახა ქუთაისის სახალხო ოპერის წარმოდგენა — ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (დირიჟორი კ. კობახიძე, დამდგმელი საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე). სახალხო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელს თ. კობახი-



სცენა სპექტაკლიდან „ბახტრიონი“
ანდრეუ — ე. მახარაძე, ლელა — ზ. კვერენჩილაძე

ძეს უნარიანად უშეშავნია თეატრის კოლექტივთან. პროფესიულ სიმაღლეზე იდგნენ სოლისტი-მომღერლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისი მწყობრი, კომპაქტური და სუფთა ქვერადობით გუნდი (ქორეოგრაფი ნ. ფანჯულია), რომელიც ძირითადად თვითმოქმედი წრეებისაგან არის შედგარი. სახალხო ოპერის თეატრის წარმატება აშკარად მეტყველებს საქართველოს მეორე ქალაქში პროფესიული საოპერო თეატრის პერსპექტივებზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაარსდა ქართული მუსიკალური კომპლექსის თეატრი, საძირკველი ჩაეყარა ქართული ოპერეტას. აღსანიშნავია ა. კერესელიძის, შ. მილორაავას, ნ. ფალიაშვილის, რ. ლალიძის, ა. შავერზაშვილის და სხვათა ლაბორატორია.

პიოპლარობა მოითხოვს კინოსა და საცენტრადო მუსიკის ნიმუშებმა, მათ შორის ს. ცინცაძის, ა. კერესელიძის, რ. ლალიძის, ალ. მაჭავარიანის სიმღერებმა.

მიმაგრდნენ და გაიზარდნენ მუსიკალური კოლექტივები, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ჩამოყალიბდა გამომწველი საბჭოთა დირიჟორის ვეგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით, დღეს დიდი წარმატებით ეწევა ეროვნული და მსოფლიო სიმფონიური შემოქმედების პროპაგანდას.

საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ბევრ გამოჩენილ მუსიკოსს უდირიჟორებია ამ ორკესტრში, ამჟამად ორკესტრის მთავარი დირიჟორია ნ. ხუროძე. მუდმივ დირიჟო-



კინორეჟისორი ლანა ლოლობერიძე

რად მუშაობს ჯ. გოციელი. კოლექტივი დღითიდღე ამკვდევნებს შესაძნევე ზრდას.

იღი როსს თამაშობს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას საქართველოს ხელმძღვანელი კაპელა (ხელმძღვანელი ჯ. კახიძე).

* * *

ქართულ მხატვრულ სახვით კულტურას არაერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი გააჩნია საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის, ქედური ხელოვნებისა თუ ხელნაწერითი მორთულობის დარგში. საუკუნეთა მანძილზე შექმნილ ამ ძეგლებს დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მხანველი.

მაგრამ ახალი ქართული სახვითი ხელოვნების, დაზგური ფერწერის და გრაფიკის განვითარება, ძირითადად, გასული საუკუნის შუა წლებიდან იწყება, როცა შეიქმნა სოციალური და ეკონომიური პირობები ერთგვარი კულტურის მრავალმხრივი განვითარებისათვის. მაგრამ საქართველოში სპეციალური სკოლების უქონლობა, ცხადია, ხელს უშლიდა ნაციონალური კადრების მომზადებას, ხოლო განათლების მისაღებად რუსეთში წასვლა მხოლოდ ერთგვლების ხედვრი იყო, და ხშირად არც თუ ისე ბედნიერი ხედვრი, რადენადაც მძიმე ეკონომიური პირობები სამშობლოდან გადახვეწილ ნორმალური მეცადინეობის საშუალებას არ აძლევდა.

ქართული სახვითი ხელოვნება რეალიზმისა და დემოკრატიზმის გზით წარმოიქმნა XIX საუკუნის დასასრულის მოგვიანებულ მხატვრულმა გრ. მასსურამემ, გ. ტარტაშვილმა, გ. ვეკლესიანმა და ალ. ბერიძემ. ხოლო უფრო გვიან ქართული რეალისტური ხელოვნების უდიდეს წარმომადგენლებად მოგვევლინენ ჯ. გაბაშვილი და ალ. მრეველიშვილი.

1910-ან წლებში შემოქმედებითი ასპირაციის გამოიღობის სამხატვრო სკოლებში აღზრდილ მხატვართა ახალი თაობა, რომელთა შემოქმედებითი გაფურცქნა უკვე საბჭოთა პერიოდს მიეკუთვნება. ესენი იყვნენ მ. თო-

ბიძე, ი. ნიკოლაძე, ა. ციმაკურიძე, ვ. სიღამონ-ერისთავი და სხვ.

როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ ალაში აღიარა, ქართული სახვითი ხელოვნებაში მხატვართა თუმცა მცირე, მაგრამ მშლავი ნაციონალური ჯგუფი მუშაობდა. სწორედ ისინი იყვნენ პირველი მასწავლებლები საქართველოს პირველ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში — თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის მეორე წელსვე დააარსა.

საბჭოთა პერიოდში აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება. თავისი განვითარების პირველი ნაბიჯებიდანვე იგი ჩაღდა ხალხის საქსახურში. ფერწერულ ტილოებში, გრაფიკულ ფურცლებში თუ ქანდაკებებში აისახა ახალი ეპოქის ადამიანების შრომა და ბრძოლა მომავლის ნათელი მიზნების განხორციელებისათვის, მსოფლიოში პირველი სოციალისტურა სახელმწიფოს შემქმნელთა ნათელი სახეები. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებისათვის, ცალკეული არაჯანსაღი გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში გზას იკავებდა ხალხის ცხოვრებასთან და ინტერესებთან დაკავშირებული ქართული სახვითი ხელოვნება, რომელსაც დღეს შეუძლია იამაყოს თავისი მიღწევებით მხატვრობის ყველა კანონი.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მდიდარ ისტორიას ქმნის სულ სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მაგრამ ღრმად ნაციონალურ მხატვართა შემოქმედება. საყოველთაო აღიარებით და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობენ მ. თობიძე, ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი, ა. ციმაკურიძე, დ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, თ. აბაქელია, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, უ. ჯავახირიძე, ა. ქუთათელაძე, ირ. გამრეკელი, ს. ვირსალაძე, ს. ქობულაძე და ბევრი სხვა. მათი უმრავლესობა დავწლმისილი მეღაგავია და ღიდ როსს თამაშობს მხატვართა ახალი თაობების აღზრდის საქმეში.

მუდამ დღე იზრდება ხალხის ინტერესი მხატვართა შემოქმედებისადმი. ამას ადსტრუქტურებს რესპუბლიკურმა და ინდივიდუალური სამხატვრო გამოცენები. იზრდება ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის ოსტატობა. ახლა, როგორც არასდროს, შემოქმევე მათი დაუცხრომელი ღტოლვა მაღალი ხელოვნებისაკენ, იმ დიდი გამომსახველი და მრავალფეროვანი ფორმებისაკენ, რომელთა გარეშე არ შეიძლება ჩვენი ღიადი ეპოქის მაჯისცემის გადმოცემა.

ამჟამად ქართველი მხატვრები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის, რასაც უძღვნიან თავანთი შთაგონებული შემოქმედებითი მუშაობის საყვას.

ხალხურ ტრადიციებთან ორგანოდ დაკავშირებულ ქართულ არქიტექტურას ყოველთვის ეჭირა მიშოშენილოვანი ადგილი ერის კულტურულ ცხოვრებაში, ინარჩუნებდა რა თავის ნაციონალურ ხასიათს და მაკოვლიდ გამოხატულ შემოქმედების სახეს. საქართველოს ტერიტორიაზე შემინახულია ურიცხვი მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი, ხალხის შრომისა და ბრძოლის, მისი ნიჭისა და სულიერი ღირსების ამსახველი. საუკუნეთა მანძილზე ექმნებოდა მაღალმხატვრობი, ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც დღეს შემოქმედებულად მოგვიბრძობენ ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულზე.

ქართული საბჭოთა არქიტექტურა ნათელი დადასტურებაა სოციალისტური წყობის უპირატესობისა, ხალხის სულიერი და მატერიალური ძალების ნამდვილი გაფურჩქნისა. პირველი დღებიდანვე მოუხდა მას ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა ახალ თემებთან დაკავშირებით. ამოცანა კი რთულდებოდა იმით, რომ ცოტად იყო კვალი ფეოდალური არქიტექტურული კადრი. ეს პრობლემა უმცირესი რაღებში გადაწყდა. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული ფაკულტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები (ორივე სასწავლებელი 1922

წელს დაარსდა) აქტიურად ჩაებნენ შემოქმედებითს მუშაობაში. ამჟამად რესპუბლიკაში რამდენიმე მსხვილი არქიტექტურული სახელოსნო მუშაობს. 1934 წლიდან ქართველი არქიტექტორები საქართველოს არქიტექტორთა კავშირში გაერთიანდნენ...

საქართველოში მრავალსაუკუნოვანი პოეზიის, მუსიკის, ჰელური და სახვითი ხელოვნების ქვეყანაში უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია არსებობს და ვითარდება სრულიად ახალი დარგი ხელოვნებისა — კინემატოგრაფია. მასში ცოცხლდება ქართველი ხალხის სახელოვანი წარსული და აწმყო, დიდი სოციალური ჭიდილის მატანე და დღევანდელბობის პეროია, ვლინდება ხალხური იუმორი, ეროვნული ყოფისა და ტრადიციების პოეზია. მისი უშუი კარგახანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და უცხოეთის ეკრანებზეც მიმოზღვევდა ამტყვევდა.

კინოს საქართველო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში გაეცნო. უკვე 1903—1904 წლებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურასა და საქართველოს სხვა ქალაქებში არსდება სტაციონარული კინოთეატრები, ჩნდებიან უცხოური ფირმების გამჭირავებული პუნქტები — „პატე“, „გომონი“ (საფრანგეთი), „ჩინეს“, „ამბროზიო“ (იტალია), „პირონე“ (ბელგია). ამ დროისათვის ეკრანებზე უჩვენებენ, უმთავრესად, დოკუმენტურ და იშვიათად მხატვრულ ფილმებს, რომლებიც საქართველოში იყო ვადიდებული. მაგრამ, ცხადია, ისინი მიახლოებითაც ვერ ასახვდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, რადგან მათ ქმნიდნენ სრულიად შემთხვევითი აღმანიები, რომლებსთვისაც საქართველო წარმოადგენდა ეგზოტიკურ მხარეს და არა დიდი ისტორიული წარსულს, მაღალი და უძველესი კულტურის ქვეყანას.

კინო მაყურებელს აოცებდა სინამდვილის თავისებური ასახვით — „ლანდების გაეცხლებით“. ფოტოგრაფიის პრიმიტიული ტექნიკიდან აღმოცენებული მოძრავი ფიგურების ხელოვნება ცოცხლად, მოქმედებაში, დინამიკაში ასახვდა სინამდვილეს. პირველმა ქართულმა დოკუმენტურმა კინოფილმმა სამარადისოდ შემოუნახა შთამბოლობას საყვარელი მკოსნის აკაკი წერეთლის ცოცხალი სახე. მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი) 1912 წელს გადაიღო პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილი იაკობისძე ამამუყელმა.

ამ დროისათვის კინემატოგრაფია სულ უფრო იზიდავდა მოწინავე ქართველ მწერლებსა და თეატრალური ხელოვნების საუბეთესო წარმომადგენლებს. უკვე 1913 წელს გამოჩენილი მსახიობი ვალერიან გუნია მონაწილეობს ფილმ „კავკასიის დაყრობაში“, რომელსაც იღებდნენ ცნობილი რუსი კინოწარმოებლები დრანკოვი და ტალიცინი. ცოტა მოვიანებით, კინოს ენაჩინენ ლადო ალექსი-მესხიშვილი (მოსკოვში), ალექსანდრე წუწუნავა. სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი შეეცადა კინოტექნიკა ჯერ თეატრალურ სპექტაკლში მოემარჯებინა, ხოლო შემდეგ თვითონ იყო ერთი პირველი კინორეჟისორთაგანი. ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, მოწინავე საზოგადოებრიობა სულ უფრო მტკიცედ მოთხოვა სამშობლო ქვეყნის ცხოვრების ეკრანზე ასახვას. და აი, 1916 წელს რეჟისორი ა. წუწუნავა იწყებს ფილმის „ქრისტინეს“ გადაღებას, რომელსაც საფუძვლად დაედო ე. ნინოშვილის მოთხრობა.

მაგრამ რევოლუციამდელ საქართველოს კინემატოგრაფიაში ფილმები „აკაკის მოგზაურობა“ და „ქრისტინე“ ის პირველი მერცხლები იყვნენ, რომელთა შტიკის გასაფხული არ მოჰყოლია.

ქეშმარიტი ვანეთარების ფართო გზაზე ქართული კინემატოგრაფია მხოლოდ საქართველოში სამჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ გამოვიდა. უკვე 1921 წელს შეიქმნა პირველი ქართული რევოლუციური ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომლის დადგამც რეჟისორი ი. პერისტინან ეკუთვნოდა. ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი კინოსურათები „სურამის ციხე“, „მამის მკვლელი“, „ვინ




როლამ ჯანდღირა



ნანა იაშვილი



ბრინე იაშვილი



ა. ნიგამაშვილი

ი. ლუცისი

პ. დიმიტრაილი

არის დანაშაუნი", ისამი სიცოცხლე" და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფილმი „წითელი ემშაქუნები“ (რეჟისორი ი. პერესტიანი, ოპერატორი ა. დიდმელიძე), რომელიც უდიდესი პათოსით ასახავდა ჩრედი ხალხის ბრძოლას სამშობლო ხელისუფლებისათვის. იგი ისამართლიანად შევიდა სამშობლო კინემატოგრაფიის სავანეებში.

შემდგომ წლებში ქართული კინოხელოვნების განვითარებისათვის იქმნება ახალი ბაზა. ქართველ კინოხელოვნებს საშუალება ეძლევათ ფართოდ, ინტენსიურად გაშალონ შემოქმედებითი მუშაობა. კინოს საკითხებზე 1928 წელს გამართული პირველი პარტიული თათბირის შემდეგ, თბილისის კინოსტუდიის გარშემო თავს იყრიან ნიჟერი რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები. დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას იწყებენ მ. ჭიათურა, ნ. შენგელაია, ს. ლომიძე, ე. ესაკია, დ. რონდელი, მ. კალატოზიშვილი, მ. გულოვანი და სხვები. კერძოზე გამოჩნდნენ შესანიშნავი მონტაჟალი და მსახიობი ვანო ხარაჯიშვილი, ნატო ვარჩხაძე, აქ გაიბრწყინა უმანგი ჩხეიძისა და ვერვიკო ანჯაფარიძის ნიჭი.

სწრაფად ვითარდება ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიაც. უკვე 1928 წელს „სახიზმრეწოვან“ იქმნება ქორნიკის განყოფილება, გამოდის „საქართველოს კინოჟურნალი“ და მრავალი კინონარკვევი, რომლებიც ქართულ, საქმის ღრმად ცოდნით ასახავენდნენ ამიერკავკასიის ხალხთა გმირულ შრომას პირველი ხუთწლეულის პერიოდში.

მაგრამ ნამდვილი აყვავება ქართული კინოხელოვნებისა, ისე როგორც მთელი სამშობლო ლიტერატურისა და ხელოვნებისა, იწყება 1932 წლის 23 აპრილის პარტიის ისტორიული დადგენილების შემდეგ. ჩრედი ამის შემდეგ გამოდის დიდი იდეური და მხატვრული ღვარჯიშობის ფილმები — „უკანასკნელი ჯგერისწენი“, „დარეკი“ (რეჟ. ს. ლომიძე), „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“ (რეჟ. მ. ჭიათურა), „უფუქნის მოთივები“ (რეჟ. ს. ფალაქანიშვილი), „ნარინჯის ველი“ (რეჟ. ნ. შენგელაია), „ფრთხანი მღებავი“ (რეჟ. ე. ესაკია), „დაკარგული სამოთხე“ (რეჟ. დ. რონდელი) და სხვა, რომლებიც ქართული კინოხელოვნების ნამდვილ გამარჯვებას მოასწავებდნენ. ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ეს ყველაზე შესანიშნავი პერიოდი აღინიშნა რთული შემოქმედებითი ძიებებით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დამკვიდრებისათვის ბრძოლით. ჩვენმა კინოხელოვნებმა სულ მოკლე ხანში მიიშორა თეატრალურ-დემოკრატიული სამსიკელი და იქცა მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური სულისკვთებით აღზრდილი მშობარ საშუალებად. იგი რეალისტურად ასახავს არა მარტო წარსულს, არამედ დღევანდელ გმირ ადამიანს, მის დიდ საქმეებს, ბრძოლას, განცდებს.

დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში ქართველ კინომუშაკთა კამერების ობიექტივები, ქვეყნების და ავტორმატების დიარად, მიმართული იყო მტრის გასანადგურებლად. ისინი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ეშვებებს, თვითმფრინავების ესკადრილებს, ტანკების კოლონებს. ბლინდავებში, ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, მდინარეთა ვადლახებისა თუ ზღვაზე გამართულ ბრძოლებში იღებდნენ სამშობლო ადამიანების არსებულ სიმამაცისა და გმირობის ამსახველ სურათებს, მომავალ თაობებს უნახავდნენ ომის გრანდიოზულ ეპოპას. კინოკამერით ხელში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ფრონტზე რეჟისორი ვლ. მიტროფანოვი, კინოოპერატორი ვლ. კილოვანიძე და ოპერატორის ასისტენტი ჭ. ძიდიგური. საუკეთესო მუშაობისათვის თბილისის კინოსტუდია 1944 წლის 14 აპრილს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ომის შემდეგ პერიოდში ქართული კინოხელოვნებამ ახალი ძალით გაშალა ფრთები. თუ 1921 წლიდან რესპუბლიკაში 150-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გამოვიდა, მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში თბილისის კინოსტუდიებმა („ქართული ფილმმა“ და ქრისტიანულ-დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ) გამოუშვეს 30-მდე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, ასამდე კინონარკვევი და 300-ზე მეტი კინოჟურნალი. ქართული კინო საბოლოოდ დამკვიდრდა მყარ ეროვნულ ნიდავზე. სწრაფად ათივსო კინოს მრავალი ტექნიკური სახალ: კერძოდ ფერადი კინემატოგრაფია. სწორედ ფერად ფილმში — „ისინი ჩამოვიდნენ მიდიან“ პირველად აისახა ქართველი მუშათა კლასის ცხოვრება. ქართულ კინოხელოვნებაში თავისი კანონიერი, წამყვანი ადგილი დაიკავა ჩვენი დროის გმირმა — ახალმა ადამიანმა. ფილმ „საბუნდარე ჭაბუკში“ დაძლეულია ადრული სექსმატრში და მიღწეულია მხატვრული მითიანობა. თითქმის ყოველ ახალ ფილმს თან მოყვება ახალი სახელი მანამდე უცნობი ახალგაზრდა მსახიობებისა. კინოკომედიებში „ჭიჭინა“ და „აბეზარ“ გაიბრწყინა ლილია აბაშიძის ნიჭმა. მაყურებლის სიყვარული მოიპოვეს მეფეა უფაროიძე, მეფეა ჩახავამ, დიდი ჭიჭინაძე, ახალგაზრდებმა ე. გილაძემ, სოფიო ჭიჭინაძემ, გიორგი შენგელაიამ, ზელა მირიანაშვილმა, დიდი აბაშიძემ, ოთარ კობერიძემ და სხვ.

უკანასკნელ წლებში ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორებმა თევაზ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ ჯერ ერთად დადგმული ფილმით „მადანას ლურჯათი“ და შემდეგ დამოუკიდებლად დადგმული მხატვრული სურათებით „ჩვენი ეზო“ და „სხვისი შვილები“ სახელი გაუთქვეს ქართულ კინემატოგრაფიას. „მადანას ლურჯას“ საერთაშორისო აღიარება ზელა კანის კინოფესტივალზე, ჩვენი ეზო“ და „სხვისი შვილები“ თბილისის ფირზე გვიანდელ ჩვენს თანამედროვეთა, კერძოდ, ახალგაზრდობის სიან-

ნება, რომ კომუნისტური პარტია ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეთ თვლის თავის ერთგულ თანაშემწეებად, თავის საიმედო დასაყრდენად იდეოლოგიურ ბრძოლაში. პარტია ზრუნავს დაუცხრომლად მწერალთა და ხელოვანთა იდეურობის და მხატვრული ოსტატობის ამაღლებისათვის. იგი ლიტერატურის და ხელოვნების უმაღლეს საზოგადოებრივ დანიშნულებად თვლის იმას, რომ

გამსჭვალონ ხალხი ახალ წარმატებათა მოპოვების სულისკვეთებით კომუნიზმის მშენებლობაში. იგი მოითხოვს მწერალთა და ხელოვანთაგან შექმნან ნაწარმოებნი, რომელნიც აღბეჭდენ კომუნისტური შრომის პათოსს, საბჭოთა ადამიანების უდიდეს გარდამქმნელ მოღვაწეობას, მათი მიზნების და მისწრაფებების კეთილშობილებას, საბჭოთა ხალხის სულიერ სიღამაზეს.



სესტრადო ტრიო:
მ. გოძიაშვილი,
მეკარიძე, ა. ებრალიძე



უკლ. ახმედ აბაშიძე

სლოგეთის პეიზაჟი

აკაკი და ქართული თეატრი

(მთავარი)

ლილი ბახტაძე

ქართული თეატრის დაახლოებული ვიყავი. ქართული თეატრზე და წარმოდგენებზე ბევრ ვეწერდი, ზოგს სახელსა და გვარის მითხრობდი, ზოგს დეტალებით: „ივერიაში“, „კვლში“, „მოკაშვარში“, „წყარბაში“ და „თეატრისა და ცხოვრებაში“. დროგამოშვებით წერილებს თეატრზე და წარმოდგენებზე რუსულ გაზეთებშიც ვათავსებდი.

ვიყავი სცენისმოყვარე და სხვადასხვა პიესებში პასუსებზე როლებს ვასრულებდი ისეთ გამოჩენილ არტისტებთან ერთად, როგორიც იყვნენ ნინო ჩხეიძე, ლეონი ივანიძე, მარო მღვიანი, ნინო დავითაშვილი, ლალო მესხიშვილი, შალვა დალიანი, ვასო ბალანჩივაძე, ნიკო გვაჩაძე, დათიკო ჩარკვიანი, მიხაკო ჯანოიერი (ნემო), იუზა ზარდალიშვილი და სხვები, რაც აღნიშნული აქვთ ნიკო გვაჩაძეს „თეატრალური მემორანგში“ (იხ. ვკ. გვ. 62, 81, 88) და მწერალ მარიამ გარიყულს წიგნში „განვილილი გზა“ (გვ. 83, 136, 140).

მასლეს, როდესაც თბილისში დრამატულმა საზოგადოებამ აკაკი წერეთელი რეჟისორად აირჩია, თეატრში პირველი რეპეტიციები მოსულმა შემდეგი სიტყვა წარმოითქვა:

„ბატონებო! მიხარული ვარ, რომ გაიგებთ, რომ ამ სიბერის დროს კიდევ გამოიყვანა თქვენთან ერთად სა-შეშაოდ...“... „ლილი სიმოვნებით გაიგებთ მეც თქვენს უფლებს. მართალია, თქვენ, როგორც ახალგაზრდებს, ჯანდობითა და ენერჯით სავსეს, მეტი შრომის ატანა შეიძლება, ვიდრე მე, სიბერით ღონე მოკლებულმა, მაგრამ ნუ დაიფიქვებთ, რომ გონიერი მუსიკა, როდესაც გახსენს უბრალოდ სულსტარებს და ჯანდობით ვალდებულ მოზურის, გვერდში უხსნის ცალად ბებერ ხარის ამოუკლებლ ხელში, რომ ჯერ უცხადმა, გასახსენებია, თავში არ გააწვიოს და წავადმა ბებერმა ხარმა, რომლისაც „რქა-ნიც კი ხსნავენ“ სასურველ კალაპიტში ჩააყენოს. მეც სწორად ამ ბებერ ხარად ვამბავ თქვენთან ერთად უფლებს გამოვიტან... რომ ეს შედარება არ გეუცხოვროთ, ერთ მაგალითს სხვასაც კიდევ მოგაგონებთ „სამშობლოდან“: მოხუცი ლეონიძე ეუბნება ახალგაზრდა ხიმშიაშვილს: „ჩემი მკვლეი ისე მტკიცე აღარ არის, როგორც შენი, წინ გაუბეჯ ვარისო. შენ გაზარდებდა ასწავლს და მე — სიკვდილს ვასწავლიო“. ამაზე უფრო საკულტისხმოს, მე, ჩემთანად, კიდევ რომ მოვიანდომი, ვერას მოვახსენებ, და მათთანად, მეც იმის მიუხადავ და გრძეყვი: თქვენ დამანახეთ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართული თეატრისადმი და მე გირჩევენთ მაგალითს მისი სიყვარულისას. შეიძლება ვინმე იფიქროს, სად სამშობლო და სადა თეატრი?... მართალია, შორი შორია, მაგრამ, რაც უკანა სიპირთა ჩვენი ცხოვრებისათვის და სასარგებლო, დიდი თუ პატარა ყველა ხელნასაკიდებელია...“

აკაკიმ, თავისი სიტყვა მაშინ, აი, როგორ დადამოლოდა: „თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამშობლო ამპიონი და არა უბრალო გასართობი. საფუძვლურაკი რამ, სუტვა არის ერთგული სარეკი, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახლდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარს, რომ სანა-ხაობით მიხიბვლილი, მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშიშრობას — ზიზლით გააურბოდეთ. ნუ დაიფიქვებთ, რომ ძლიერი სარეკი თქვენ უნდა დაიჭიროთ ხელში. მე, რასაკვირვალა, შეძლებისდაგვარად ვეცდები ავასრულო ჩემი თქვენდამი მოვალეობა და თქვენგანც მოვიხოვო შემდეგ: განმტკიცებულ-გახსებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს; როლებს გა-ზეტარებას, რომ კარნახის (სულელირის) იმედით აღარ

იყო; პიესების მთავარი აზრის შეგნებას; თავთავისი რო-ლების დაკვირვებით შესწავლას და რეჟისორის სურვილთან თქვენი სურვილის თანხმობას...“

მასლეს — აკაკის ამ სიტყვას როგორც არტისტები, ისე დრამატული საზოგადოების გამგებონი თავამოღობა და წვეწორი ტაშის ცემით და ოვაციებით შეგვიტან. როგორც რეჟისორს, პოეტს და ღირს საზოგადო მოღ-ვაწეს, აკაკის დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონ-და დამახსოვრებელი. როდესაც თბილისში სცენი გაიხ-დენას მაშინ, სხებთან ერთად, მეც დავესწარი. თეატრს აუბრუნებელი ხალხი მოაყვდა, ტვეა არ იყო და წარმოდგე-ნიდან სახლში ყველა დიდად კმაყოფილი დაბრუნდა. „სამშობლოს“ წარმოდგენას მაშინ როგორც ქართული, ისე რუსული პრესა მაღალ გულთბილად გამოეხმებოდა.

„სიმოვნებით უნდა ვაუწყებო მკითხველს, რომ და-საწყისი სენისას, საზოგადოდე ყოვლად ჩინებული იყო...“ — ასე იწყებოდა გაზეთ „ივერიაში“ წერილი და, აი, როგორ თავდებოდა: „მართალია, სატყუარ არავის მიაჩნია რომ ბატონი აკაკი, დასამამიფე მთამავე და ღი-ლად დახელოვნებული სცენის საქმეებში, თავის მკლანას ხელს დაამწებდა ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ კვირის წარმოდგენამ (ნავაღლისმგებია სცენის პირველად გახს-ნა და „სამშობლოს“ წარმოდგენა, ი. ბ.) მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა...“

„სამშობლოს“ შემდეგ, აკაკიმ თავისი ისტორიული პიესა „პატარა კახა“ დადგა. ამ პიესამაც თეატრში მაშინ დიდძალი საზოგადოება მიიზარა.


მასლეს, როდესაც აკაკი თეატრში მიდიოდა რეპეტი-ციავა და იქნადა სასტუმროში ბრუნდებოდა, ხალხი გზა-ზე ტაშის ცემით ეგებებოდა.

„პატარა კახში“ გვიგის როლი ითამაშა — ვალიკო შალვაშვილმა, ველისა — ვიქტორ გამყრელიძემ და პა-ტარა კახისა — მაშინ სრულიად ახალგაზრდა ნიკო გვა-ჩაძემ. ბევრი სახელოვნება არტისტი აღუზარა ქართულ თეატრს ლალი მესხიშვილმა: მარო მღვიანი, ნინო დავი-თაშვილი, ლიზა გვეტაძე, იუზა ზარდალიშვილი, ალექ-სანდრე იმედიაშვილი და სხვები, მაგრამ თავის მოწაფე-ებში ლალი მესხიშვილს გამორჩევი უყვარდა ნინო (ნუკა) ჩხეიძე და ნიკო გვაჩაძე.

„პატარა კახის“ წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადო-ებამ რეჟისორი აკაკი და არტისტები სცენაზე რამდენ-ჯერმე გამოიწვიო, ტაშის ცემით შეგებდა და მხურაღე-ოვაციებით გაუპარათა. მასლეს, მაშინ, ამ წარმოდგენის შე-სახებ გაზეთში აიყვინათ, ასეთი შინაარსის რეცენზია მოათავსა: „...თუცა მონაწილეობას იღებენ მომჩიკებულ ნაწილად ახალი არტისტები, მაგრამ წარმოდგენამ და-ლიან მშვეობრად ჩაიარა. ამაწარა და „პატარა კახი“ ძალ-გებული ჯერ არ გავინახავს. ახალგაზრდა არტისტები სწო-რად რომ ერთმანეთს სჯობდნენ, მეტადრე თავი იჩინა-ბ-მა ვალიკო შალვაშვილმა (გიგია) და მ-მა ნიკო გვაჩა-ძემ (პატარა კახი). ბატონმა ვიქტორ გამყრელი-ძემ ბრმა ველისა როლი სიეთის გერმონით შესარულა, რომ მრავალი მაყურებელი აატარა. თეატრი სასეკ იყო მაყურებლებით, რომელიც განცვივრებულნი იყვნენ და ახალი არტისტების თამაშ ალტაგებში მოჰყავდათ. ყვე-ლას სანამიოინოდ დარჩა, რომ ბუნეს სცენას ახალი ნიჭი-ერი არტისტები მოემატნენ. თეატრის რეჟისორი და პო-ეტ-დრამატურგი აკაკი საზოგადოებამ რამდენიმეჯერ გამიხიბო სცენაზე და დიდი აღტაცებით მიიღო...“ დიდი მოამავე და მოყვარული იყო ქართული თეატრისა აკაკი, და მე კარგად მახსოვს, ერთი წლით ადრე იგი (აკაკი) სიკვდილამდე. — თბილისში გაიზარდა დიდი ყრბობა — ქართული არტისტების, რეჟისორების და დრამატურგე-ბისა, — ამ ყრბობაზე მაშინ ღრმა მოხუცი, ავადმყოფი აკაკი და ყრბოდომარეობდა და ყრბობის ნუსშობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

61528







დიდი ზვის დასაწყისზე თ ქ მ უ ლ ი

ეთერ ჭიჭინაძე, თინათინ კობალაძე

...რატომ შეანელეს ნაბიჯი გამველეებმა, რატომ გააყოლეს თვლი ფერკრთალ გვიგანსა, ოქროსფერი თმა რომ ჩამოშლია სახეზე?... ჩახედეთ თვალეში, ნახეთ მისი ღმობილი და სახელის თქმაც აღარ იქნება საჭირო, — მაშინვე იცნობთ ვერიკოს ღმობლს, ვერიკოს თვალებს. დახ, ეს მისი ქალიშვილი — სოფიკო ჭიაურელია.

და გახსენდებათ კინოფილმები „ჩვენი ეზო“, „ამავეი ერთი ქალიშვილისა“. გაგვყვამთ ფიქრი, ლამაზი, სასიყვარულო.

მისი ბიოგრაფია არ არის უცნაური ამბებით აღსავსე. ბავშვობიდანვე შეყვია თეატრს.

1922 წელს ვ. კობახიძე მუშაობას იწყებს ქართული დივიზიის პოლიტსაგანმანათლებლო განყოფილებაში. მას არც იქ ვანელებია ხელოვნებისადმი სიყვარულის დიდი ცქცხი და სათავეში უდგება სამხედრო ნაწილების დრამატულ თეატრალურ კო-

ლექტივებს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ამ პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ვანოს მუშაობა ქუთაისის დრამატულ სტუდიაში. მან თავის ვარშემო შემოიკრიბა გამოცდილი და კარგი მონაცემების მქონე მსახიობები: ა. მურუსიძე, ნ. ჩიხლაძე, ქ. აბაკელია, ვ. ლალიძე, ვ. ადამიძე, ა. არჯვანიძე, ი. ქანთარია, ზ. ურუშაძე. სტუდიამ მოამზადა და მაყურებელთა სამსჯავიროზე გამოიღანა ა. ციკარის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“, ავეტიკიას როლი აქ პირველად შესარულა ვ. კობახიძემ. ვანო სტუდიის ყველა დიდგმის რეჟისორი იყო და ამავე დროს მონაწილეობდა დიუბლოდა სექტაკლებში. მ. დალიანის პიესაში „როს ნაღიბოდნენ“ შესარულა თავადი, ვ. გუნიას „მონადეში“ არჩიზალი, შილერის „მონადეში“ ფრანცო. წარმოდგენენ იმართებულა ქუთაისის სახელოწიფო თეატრში. ვანო იყო ორგანიზატორი საქველმოქმედო კონცერტებისა, რომელშიცა, სხვათა შორის, მონაწილეობდა აკაკი ვასაძე.

ქუთაისიდან ვ. კობახიძე ისევ თბილისს უბრუნდება. მას ნახავთ დივიზიის ქართული კლბების (ამჟამად გრიბოედოვის თეატრი), სახალხო სხლის (წითელი თეატრი) და ნაწილადევის — პუბლიკის სახ. კლბების დრამატულ კოლექტივებში.

მალე, 1925 წელს ვ. კობახიძეს თეატრის ხელმძღვანელად იწვევენ საგარეჯოს სახალხო თეატრის გამკეობა. ვანო უწყყამოდ მიემჯავრება საგარეჯოში და თავისი წევილი შეაქვს საგარეჯოს სახალხო თეატრის რე-

პერტუარისა და დადგმის ხარისხისა გადმოდრებისა და გაუმჯობესების საქმეში. აქ მან განსაკუთრებულ სიყვარულითა და მონდობით ვახსენიკულა ქართული ავტორების პიესები, რომლებშიაც თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

1926-27 წ. წ. ავადმყოფობის გამო ვანო დროებით ჩამოშორდა სცენასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი მიემგზავრება საზღვარგარეთ, რანში, მაგრამ სამშობლოს ვეზუნებარე პატრიოტი ღიღანს ვერ შეეგუა უცხოეთში ცხოვრებას. მალე დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს.


1928 წელს მონაწილეობს საქ. სახ. არტისტის ბ. ფრანკვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ცხოველ მსახიობთა მოგზაურ დასში, სადაც ვანო წყყვან როლებში გამოიღობა.

ვ. კობახიძის მოღვაწეობა შემდეგმ წლებშიცა უწყვეტია ქართული თეატრის ჯაჭვით უკავშირდება ჩვენი თეატრალური სამყაროს ძლიერ მაჯისცემას. იგი თეატრით სუნთქავს, სცენით არსებობს და ახალ-ახალ როლებში პოულობს სიცოცხლის უზრეტ ძალასა და ენერჯიას.

1929 წელს ვანო სამრეწველო კომპერატორის თეატრალურ კოლექტივში გადადის, 1930-34 წ. წ. მუშაობს საქ. სახ. ფილარმონიის ესტრადის მსახიობად, ძირითადად იუმორისტულ დუეტებში თავის ძმასთან — ვასო კოხლევანთან ერთად, მონაწილეობს რესპ. სახ. არტისტის ტასო აბაშიძის და ვ. კობეის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ მოგზაურ დასში. 1935 წ. შიღის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში და ამავე დროს სწავლების ვოკალურ განყოფილებაში დოცენტ ა. მიხელსკიას კლასში, რომელსაც ამთავრებს 1938 წ. საოპერო სტუდიაში მოამზადა თანდროსის პარტია (ოპერა „აბესლომი და ეთერი“), რომელიც იმდრო ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში 1936 წ. მარტში, აგრეთვე მოამზადა და იმდრო ტრიკეს პარტია („ვენიკონიანი“) და ოქიკის პარტია („სიყვარული დაღაქი“), დეზულბოდა მონაწილეობს კონსერვატორიის მიერ გამართულ სტალინთა კონცერტებში, როგორც ანსამბლში, ასევე სოლისტად.

1945 წლიდან — 1949 წლამდე ვ. კობახიძე მუშაობდა საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ დრამატულ-ოპერეტული წრის და მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად. ხოლო 1953 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის საზოგადოებრივ-კულტურის კომისიაში, სადაც მუშაობს არსებულ დრამაწრის ხელმძღვანელად. იგი ახლაც ხშირად გამოდის კონცერტებში და ოპერეტებში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მოელონ ვატკცებში და სიყვარულით განავრთობს იმ საქმეს, რომელსაც მიეღობს მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურება.

ვანო კობახიძე





მარიამ ალუქსიძე (მარიამიანი)

მ ა რ ი ჯ ა ნ ი

თამარ გომარტელი

...გაიქროლეს უდარდელმა ბავშვობის წლებმა. ნიჭიერი გოგონა მშობლებმა თბილისის წმინდა ნინოს სასულიეროს ქალთა სასწავლებელში შეიყვანეს. სწავლა წარჩინებით დაამთავრა. ერთი წლის შემდეგ კი მარიამ მარჯოს ასული ტყემაღაძე — მარიამიანი ექიმ ალექსანდრე ალუქსიძის გაყვამდე ცოლად და ოჯახურ საქმიანობაში ჩაება.

დაიწყო პირველი იმპერიალისტური ომი. მეუღლე, როგორც სამხედრო ექიმი, ჯერ ავსტრიის, შემდეგ თურქეთის ფრონტზე გამწვსეს. მარიამი მეუღლეს თან ახლდა. პოეტური სულის ახალგაზრდა ქალი კატარა პირმშოს მზრუნველობაში და ლექსების წერაში პოევიდა შეება. მისი პირველი ლექსი „მარა“ 1916 წელს დაიბეჭდა გაზეთ „სასახლო საქმეში“. მარიამის ფსევდონიმით. შობილიურ თბილისში დაბრუნების შემდეგ კი, სწავლას განაგრძობს სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ-ფილისოლოგიურ ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მარიამი კვლავ აქვეყნებს ლექსებს, მაგრამ მათ გტყობათ გულგატეხილობა, თემატიკური და იდეური შესრულებობა.

მარიამის მხოლოდ სამბოთა წყობილების პირობებში ეძლევა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა. ახალმა ეპოქამ ობტინისტური სული შთაბერა, მწერება შემატა მის ლექსებს. ჯერ კიდევ ცნარისმის დროს დაწერილ თავის პირველ ლექსს („ნელი მასალა“) მარიამიანი ასე ამბობდა...

„თუ ხელ მიპირავს მწვენიერი ნელი მასალა,
მე ამ წყიულმა დაჭრილ გულმა ოტა მისალა.“

ახლა კი გულგამთვლებული პოეტი შეხარის აცისკროვნებულ სამბოთა ცას და ამბობს:

„მე შეხვარი ვარსკვლავების
ცად დაღურსულ ოქროს მძივებს,
მათ ფერხულში მეც ჩაებვი,
არ მაწუხებს წელ სიმძიმე.“

1921 წელს გამოდის მარიამის ლირიკული ლექსების წიგნი. 1926 წელს კი, მარიამ ალუქსიძე სამაგვმო ლიტერატურაში იწყებს მუშაობას. სწორედ ამ წელს ჟურნალ „ოქტომბერი“ დაიბეჭდა მისი ცნობილი პოემა „ნელი ციგეში“, რომელიც შემდეგ რამდენიმე გამოცემა ცალკე წიგნად. ამ პოემაში მკაფიოდ გამოხატვის ის აზრი, რომ თქმცა სანახაობა გართობისა და სიამოვნების წყაროა, ამასთან იგი აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაც არის.

პოეტი ქალის სამაგვმო ნაწარმოებებში მოჩანს პატარების ფსიქოლოგიის დრმა ცოდნა. ლექსები „ლეოს დაბადების დღე“, „პარაშუტი“, „ცელი ვიკლა“, „ბედურების კვება“, „საინის ბუშტი“, „ბავშვის მიბაძვა“ და სხვები უშუალოდ გადმოგვცემენ ბავშვის უმანკო და ნაზ გრძობებს. მწერალი სავანს უბრალოდ კი არ აგვიწვს, არამედ ცდილობს შექმნას ისეთი სახე, რომელიც ბავშვის გულსა და გონებაში დრმად ჩაიბეჭდება, ზეგავლენას მოახდენს მათ ფორმირებაზე.

შვილებით გახარებული დედა მოზარდათა საერთო მზრუნველი გახდა, დედის ნახას შეურთა თავისი ფაქიზი პოეტური ხმა.

მარიამმა ერთმა პირველთაგანმა დაწერა დიდი მოთხრობა პიონერების ცხოვრებაზე — „ბუნდური თობა“. მის მხედველობიდან არ გამოჩენია ბავშვთა შრომითი აღზრდის უდიდესი მნიშვნელობა, მისი როლი მოზარდის სამბოთური სულსმეფებით ჩამოვალბობაში, ამიტომაც სახელისონ სკოლის მისწავლეთა ყოფაცხოვრებაზე ქმნის დიდ მოთხრობას „გულა“.

პირველი სამაგვმო მოთხრობა „ქრან ატმის ქალაქში“ მარიამმა დაწერა 1933 წელს. ამის შემდეგ მრავალი სოველა გამოაქვეყნა, რომელთა შორის აღსანიშნავია „როგორ გაგაგებინო“, „ბერძნუ ბვირი“, „ბეჭეტი“, „ამანათი“, „ცული წლაპარი“, „გემრიელი ხილი“, „შვი თვალუბი“, „ფისო და გვეხმარა“, „ამდენი-ბვირი“, „როცა წვერფავაშინი იქნები“, „ლამარს მამიდა მიემატა“ და სხვ. ისინი დაწერილია ცოცხლად, ხალისიანად, ეხმარებიან ყმაწვილებს გაერგვენ პარგსა და უკლში.

მწერალი ბავშვის ცხოვრებიდან იღებს ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც დამახასიათებელია როგორც სკოლაშედეგ, ისე საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდებისათვის, როდესაც ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება, ყალიბდება მისი ხასიათი. ამ დროს მას ჯერ კიდევ ესაჩივრება უფროსების დახმარება, შთაგონება. ეს დახმარება შეუძლია გაუწიოს მას კარგმა, მართლმად ლიტერატურულმა ნაწარმოებმა. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან მარიამის მოთხრობები „სადურგო სახელოსნოში“, „მამდა თოქს მარანი“ და სხვ. ეს წიგნები ბავშვებში ნერგავენ შრომისადმი კომუნიტურ დაბოკიდებულებას, სამშობლოსადმი სიყვარულს, ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ გრძნობას, ობტინისტურ განწყობილებებს...

ქართული მწერლობისათვის თეატრალური ხელოვნება ყოველთვის იყო მიტად ახლობელი, მშობილური ღვიძლი საქმე. იგი ყველა მწიწნედა ეპოქის მოწინავე იდეების ტრიზუნად, ყველა დროსა და ყველა ხალხის მალული აზრის მქადაგებლად. ჩვენმა მოწინავე მწერლებმა თეატრს მიანიჭეს მალალი მოქალაქეობრივი მნიშვნელობა, იგი აქციეს ხალხის სულის აღზრდის კერად. ამიტომ იყო, რომ მწერლობა იმთავითვე თეატრის მსყვეურის, ხელმძღვანელის, წარმმართველის როლში გამოვიდა. სამბოთა თეატრმა განაგრძო და განავითარა რეოლუციამდელი თეატრის საუკეთესო ტრადიციები. სამბოთა სასცენო ხელოვნებამ თეატრს შემოქმედებითი მუშაობას საფუძვლად დაუდო სცენის მუშაობა მჭიდროდ და უწყურელი კავშირი მწერლობისთან.

მარიამის ის ერთი ქართული სამბოთა მწერალთაგანია, რომელმაც არ დაიშურა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი

უნარი მშობლიური თეატრის წინსვლისათვის. იგი ქართულ თეატრებში თანამშრომლობდა როგორც პიესების მთარგმნელი. თარგმნიდა როგორც კლასიკურ, ისე საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებს და ამით ხელს უწყობდა საბჭოთა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის სიტყვის ოსტატის მიერ შესრულებულ თარგმანებს. კარგი თარგმანი მსახიობებს უადვილებს ღრმად ჩასწვდენს პიესის დიალანს, შეახას ხორცი მასში მოცემულ მხატვრულ სახეებს, ჩაწვდენ ავტორის ქვემარტ სტოლს და შექმნან მაღალმხატვრული სპექტაკლი. როდესაც თეატრი უცხოურ კლასიკურ თუ თანამედროვე პიესას დგამს, კარგი თარგმანი უკვე ნახევარ გამარჯვებას უდრის. ამიტომაც იყო, რომ კოტე მარჯანიშვილი პიესის თარგმნას ყოველთვის ანდობდა მხატვრული სიტყვის ოსტატებს, მოწინავე პოეტებსა და მწერლებს.

მარიჯანი სწორედ ისეთი მთარგმნელია, რომელიც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, საქმის ცოდნით, ქართული სიტყვის სიყვარულით და ავტორის აზრის ღრმა გაგებით, მისი სტილის, ნიუნსების ზუსტი და ნათელი გადმოცემით თარგმნის პიესას. ამიტომაც მის მიერ შესრულებული თარგმანი წლების მანძილზე შერჩა თეატრალურ სცენას, მაყურებელი მათ აღიქვამს როგორც ქართულ ენაზე დაწერილს. ასეთებია: რუსთაველის თეატრში — ნ. პოპოვიჩის „თოფიანი კაცი“ (თარგმნა გრიშაშვილთან ერთად; პიესა დადგა აკაკი ხორავამ 1939 წელს), ბორის ლაფრეიოვის „ამერიკის ხმა“ (დადგა დ. ალექსიძემ 1950 წელს), მარჯანიშვილის თეატრში — ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (თარგმნა გრიშაშვილთან ერთად; დადგა ვ. ყუშიტაშვილმა 1937 წელს), კ. სიმონოვის პიესა „მულოდუ“ (თარგმნა გრიშაშვილთან ერთად; პიესა დადგა ვ. ყუშიტაშვილმა 1944 წ.). პოეტს მშვენივრად აქვს თარგმნილი მ. ალიგერის პიესა „ზაპარო სი-მართლევე“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. მარიჯანი გულმოდგინედ მუშაობდა ესტრადის რეპერტუარზეც, ცნობილი ნიჭიერი მსახიობის ნინო ალექსი-მესხიშვილის დაჯავლებით. ამ მსახიობის საღამო-კონცერტები, სადაც იგი ასრულებდა მარიჯანის მიერ დაწერილ სეკტრებს და სიმღერებს, ახლაც ახსოვთ მაყურებლებს.

მარიჯანი არა მარტო ცნობილი მწერალია, იგი შესანიშ-



რეისორი დ. ალექსიძე, მარიჯანი, ბალერინა ი. ალექსიძე, მიქანდაკე ნ. ალექსიძე

ნავი ქართველი დედაც არის, რომელმაც სამშობლოს აღუზარდა ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწეები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დოი ალექსიძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირინე და მიქანდაკე ნელი ალექსიძეები.

მართლაც ასეთ გულისხმიერ, ბავშვის სულის გამგებ, სულში ჩაწვდომ დედას შეეძლო გაერკვია თვითიველი შვილის მოწოდება, მათი ნიჭის შესაბამისად განეციოთარებინა ისინი, დაეყენებინა ხელოვნების ფართო გზაზე...

1957 წლის 28 იანვარს ღვაწლმოსილ მწერალ ქალს სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს. მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. საყვარელ პოეტს და მის კლამს დალდა არ ემჩნევა, თუმცა მარიჯანს უკვე 70 წელი შეუსრულდა. იგი ამ თარიღს ხელგამართული შეეგება.


ჩვენმა ხალხმა აიცის ღირსეული შვილის დაფასება. მარიჯანი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია, დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ამ ორდენის ქვეშ კი, კვლავ დაუცხრომლად ძვერს მგზნებარე პოეტის, საზოგადო მოღვაწის და სახელოვანი შვილების აღმზრდელი დედის გული.

მწერლები მარიჯანი და დ. შენგელაია ფოთის ბიონერებს შორის





ბ. დოღენჯაშვილი „წმინდა ელის ეკლესია გელათში“



ბ. დოღენჯაშვილი „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“

ს. ჩოგვაძე „ქუთაისი, არქიელის გორა“. ეტიუდი



ბ. გვეტაძე „რიონისი“




ელ. აბულაძე

დასვენება გზაზე

1925 წ.

თბილისის არქიტექტურა ალავლოვის გზაზე

სიონ კინწურაშვილი



ლენინის მოედანი

XIX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან მოყოლებული თითქმის საუკუნეწახვერის მანძილზე, მამადავითის მიდამოებში არსებულ ტერიტორიაზე აგებულ ცალკეულ ნაგებობათა ხუროთმოძღვრული სახე დამახასიათებელი და ხშირად ტონის მიძეცი იყო არა მარტო თბილისის, არამედ მთლიანად ქართული არქიტექტურისათვის. ამასთან ამ უბნების საერთო არქიტექტურული იერი ბევრად განსაზღვრავს მთლიანად ჩვენი დღეაქალაქის დასამახსოვრებელ, თავისებურ იერს. სწორედ ამიტომ არის საინტერესო: რამ განაპირობა ქალაქის ზრდა-განვითარება და მისი ცენტრის გადმოხაცვლება სწორედ აქეთუკენ; როგორ მიმდინარეობდა ამ ტერიტორიის ათვისება-განაშენიანება; როგორ იცვლებოდა მისი ხუროთმოძღვრული ხორცშესხმა ამ უკანასკნელი 150 წლის მანძილზე? შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ უბნების ხუროთმოძღვრების მოკლე მიმოხილვითაც კი, თითქმის თვალს ავლებ აღნიშნული პერიოდის, განსაკუთრებით საბჭოური პერიოდის, ქართული არქიტექტურის განვითარებას. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ მამადავითის კალთებზე განლაგებული ქალაქის უბნები, ახლანდელი კალინინის სახელობის ადმინისტრაციული რაიონის ძირითადი უბნები, წარმოადგენს თბილისის ადმინისტრაციულ და ფუნქციურ გულს, მის ხუროთმოძღვრულ ცენტრს.

* * *

რა იყო აქ, სადაც ამჟამად ქალაქის ცენტრალური უბნებია გადაჭიმული, წინათ, თბილისის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე? სამწუხაროდ, ძველი ნაგებობებისა და მთლიანად უბნის ხუროთმოძღვრებაზე, მის განვითარებაზე ნათელი წარმოდგენის შექმნა ძალზე ძნელია, ვინაიდან: ეს უბნები თბილისის ციხე-კედლებით შემოფარებული ტერიტორიის გარეთ მდებარეობდნენ და მათ შესახებ კიდევ უფრო ცოტა საბუთი არსებობს ვიდრე ძველი თბილისის ძირითად უბნებზე; აქ თავისი პირდაპირი სახით შემორჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლებიც ნაკლებად გვხვდება, რაც ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ თბილისის უმუშაოთა ნგრევისა და ავებლობის საუკუნეებს.

უკვე აღარ არსებობს ქაშვეთის წმ. გიორგის ძველი ოთხაფსიდიანი, გუმბათიანი ეკლესია, ააგებული, როგორც ჩანს, VI საუკუნეში. იგი ადრინდელი ქრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიმუში იყო. 1754 წელს ქაშვეთის ეკლესია ახლად აუშენებიათ. შემონახულია ფოტოსურათები, რომლებზედაც სწორედ XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტებით დამუშავებული ნაგებობა ჩანს, მაგრამ გვეგობს და მოცუ-

ლობით იგი თავდაპირველი ეკლესიის გამოვრებას წარმოადგენს. ახლანდელი ქაშვეთის ეკლესია კი ამ საუკუნის დასაწყისშია აგებული — 1904 — 1910 წ. წ. ტაძრის არქიტექტურისათვის, წინასწარი განზრახვით, შერჩეულ იქნა ქართული კლასიკური არქიტექტურის ნიმუში — სამთავისის ეკლესია.


არც მამადავითის ძველ ეკლესიას მოუღწევია ჩვენამდის. ცნობილია, რომ VI საუკუნეში, როცა აქ დაბურული ტყე იყო, ეს მუდრო ადილი აურჩევია ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს — შინდა დავითს მთაში სენაკისა და სამლოცველოს მოსაწყობად. XVI საუკუნეში კვლავ ააგეს აქ ეკლესია. როგორი იყო ეს ნაგებობები, არ ვიცით. ამჟამად არსებული გუმბათიანი ეკლესია კი XIX საუკუნის 70-იან წლებშია აგებული და ხუროთმოძღვრულად საინტერესო არ არის.

ესაა და ეს „მისის ზედა“ საბუთი ამ უბნების ძველი ხუროთმოძღვრების შესახებ ჩვენ თითქმის არ გავგანჩნა.

მაგრამ არის თუქც გვიანდელი — XVIII საუკუნის ერთი სახედი საბუთი, რომელიც წარმოდგენას გააძიავს ძვილი თბილისის ხუროთმოძღვრებაზე და სადაც ჩვენთვის საინტერესო უბნების შესახებაც არის ზოგიერთი ცნობა. ეს არის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი თბილისის რუკა — „სახე ტბილისისა რომელი არს სატახტო ქართლისა...“ ამ დროისათვის თბილისი წარმოადგენდა ტიპურ შუასაუკუნეებზე ქალაქს და შედგებოდა სამი ნაწილისაგან: „ხოლო ტყილისი არს სამი ქალაქი — ტყე ოლი სი, კალა და ოსინი“. აარდა ამ სამი ძირითადი ნაწილისა, რუკაზე გადაჭარბილია სხვა დასახლებული ტერიტორიაც. უმოკრესი მათ შორის არის ე. წ. გერეთუბანი. იგი ქალაქის ზრდის მიმართულებით, ე. ი.

XIX საუკუნის 50-60-ანი წლების გოლონის პოსტექტის ერთ-ერთი მონაკვეთი: მარცხნიდან — შივაგარბათბლის სახლი (1865-68 წ. წ. რეკონსტრუქციამდე), ყფფ. გუნიბის მოედანი (ამჟამად აქ საქართველოს სსრ შივაგარბათბლის სახლი) და ვაჟთა გიმნაზია.





გოლოვინის პროსპექტისა და სახალის ვიწრო ქუჩის თავშეკრის ადგილი. მარცხნივ — ე. წ. ქაშანთ ეკლესია (დანიერა 1929 წ.)

მტკვრის დინების აღმა, ჩრდილოეთისაკენ მდებარეობდა. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ერთი მხრივ მტკვარსა და მთაწმინდას, ხოლო მეორე მხრივ კალასა, ქალაქის ამ უმთავრეს ნაწილსა, და ქვეშეთის ეკლესიას შორის. აღმოსავლეთის მხრიდან გარეთუბანს ესაზღვრებოდა ქალაქის ციტადელის კედლები, — სალაკის ქედიდან ციტადელის კედლები ემყებოდა ამქამინდელ შალვა დადიანის ქუჩაზე, მიემართებოდა ლენინის მოედნის აღმოსავლეთ მხარეზე (აქ იყო კალას დასავლეთის გალავანი — კოჯრის კარი) და პუშკინის ქუჩისა და შემდეგ ბარათაშვილის ქუჩების მიმართულებით მტკვარს ებჯინებოდა. გარეთუბანი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული და უკვე ორგანულად უკავშირდებოდა ქალაქის ძველ უბნებს. ეს უფლებას აძლევს ვახუშტის თბილისის აღწერის ბოლოს თქვას: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისთა“.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ვახუშტის რუკაზე გარეთუბანში შეიძლება იმ „ფოლორცების“ და გზების წაკითხვა, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო აწინდელ ინგლისის, ლერმონტოვის, ბარათაშვილის, პუშკინის ქუჩებს, რუსთაველის პროსპექტსა და ლენინის მოედანს და სხვ. ე. ო. მაშინ უკვე არსებობდა მთელი ამ რაიონის აწინდელი დაგეგმარების ჩანასახი, მისი ჩონჩხი. და თუ ამ ქუჩების მიმართულებების და ზოგჯერ მდებარეობაც საესებით უსუსტად არ ემ-

თხვევა აწინდელ მდგომარეობას, ეს არც გასაკვირია და არც არსებითი. მთავარია, რომ ვახუშტის რუკაზე ნათლად ჩანს ქალაქის ზრდის ტენდენცია, რომელიც ერთი მხრივ გაპირობებული იყო თბილისის ბუნებრივი პირობებით — ქალაქი იზრდებოდა ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აღმა.

ქალაქის ამ უბნის სურთომოდვერულ სახეზე, ვახუშტის რუკის მიხედვით, ბევრის თქმა ძნელია, მაგრამ სურათის აღდგენა შეიძლება. იგი სურთომოდვერულად და გეგმარებით ქალაქის მთელი ორგანიზმის მეთრეხარისხოვან ნაწილს წარმოადგენს. თბილისის ცენტრს ამ დროს კალაში არსებული მეფის მოედანი და მის მახლობლად მდებარე უბნები (ამქამინდელი ერეკლეს მოედანი და ჩახრუხადის ქუჩა) წარმოადგენს, სურთომოდვერულ დომინანტს კი ნარიყალა და მეტეხი. ეს იყო ტიპური ფეოდალური ქალაქის ტიპური, ფერდობზე ცხოველსაბტულად შეფენილი გარეთუბანი, ვიწრო მიხვეულ-მიხვეული ქუჩებით. უბნის უმეტესი ტერიტორია ეჭირა ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ მიჯრილ პატარა, ერთსართულიან ბანიან საცხოვრებელ სახლებს, რომელთა არქიტექტურა არ წარმოადგენდა რაიმე დიდად საინტერესოს. ვახუშტი წერს, რომ ისინი „...ნაშენი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა“. განაშენიანებუა სიმალით და მოცულობით გამოირჩეოდა კალოუბანის პატარა ეკლესია (იგი ახლანდელი რუსთაველის კინოთეატრის ადგილზე იყო) და ე. წ. ქაშანთ

უფო. ფოსტის შენობა, აგებული XIX საუკუნის 50 წ. წ. (დანიერა 1958 წ.). ამჟამად აქ ელექტროსადგომის ალმართის ახალი მონაკვეთი რუსთაველის პროსპექტს უერთდება.




ეკლესია (იდაგ ყოფ. სასახლის ქ. და რუსთაველის პრ. შყერის ადგილზე); ბაღებში ჩაფლული, ეტყობა გალავნით გარემორტყმული იყო არაგვის ერისთავის სახლი (აწინდელი საქართველოს სახ. მუხეშვილისა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რაიონში). განმარტებით, გზის პირას ქვაშეშეთის ეკლესია და მის პირდაპირ ციციშვილის სახლი იდაგ. ეკლესიის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ასპარეზი იყო (აქ შემდგომ ყაბახი მოეწყო, ხოლო ამჟამად კომუნარების ბაღია). სალაღაის მთის ძირში ვრცელი ხილის ბაღები შედგარებოდა. ამჟამინდელი ლენინის მოედნის ადგილზე საკმაოდ მოზრდილი ცარიელი ადგილი იყო. აქ თავს იყრიდა კოჯრის და დიღმის (იგივე „სარუსეთი“) გზები. უბანს გადმოყურებდა შთაქმინდის, ანდა, როგორც მას ვახუშტი უწოდებს, იმიტეტრუქის ხრობი, დღევებით დაფარული კალთები. უფრო სავალალო იყო ამ უბნის სახე XVIII საუკუნის დამოუყვასათვის — ალა-მამად-ხან ყაჯარის 1795 წლის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, როდესაც თბილისის ტერიტორია ძალზე შემცირდა.

* * *

სრულიად იცვალა სახე გარეთუბანმა XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ქალაქის ამ ნაწილის ზრდა-განვითარებას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: თბილისში დამკვიდრდა საუკუნეების მანძილზე ნანატრი შვილობა; იყო განვითარება ვაჭრობა-ხელოსნობა; ქალაქი გადაიქცა ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გავრცელებისა და განმტკიცების პოლიტიკურ ცენტრად; ამავე დროს, პირველ ყოვლისა აქ აკიდებდა ფეხს და აღვილობრვ ყაიდაზე ინათლებდა რუსეთის გზით შემოსული პროგრესული კულტურა. ახალ თბილისს, რომელიც XIX საუკუნის მეორე და მესამე ათეული წლებიდან უკვე საკმაოდ ინტენსურად იზრდებოდა, ახალი ცენტრი ჭირდებოდა. ამიტომ ქალაქის ცენტრმა არ დააყოფა უმტკივნეულოდ გადმოსული იქ, სადაც მისთვის ახალ ისტორიულ პირობებში ორგანულად იყო შემზადებული ადგილი. პირველყოვლისა, საკურადლებოა, რომ ქალაქის ზრდის ტენდენცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედამ აქეთ — ჩრდილოეთით, მტკვრის ადამ იყო. შემდეგ; ახლანდელი ლენინის მოედნის ადგილას არსებულ ცარიელ ტერიტორიაზე იწყებოდა და აწინდელი რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით მიემართებოდა ე. წ. „სარუსეთი“ გზა, რომელსაც უკვე ჰქონდა დამკვიდრებული მეტად მნიშვნელოვანი ადგილი თბილისის და მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. შესამე გარემოება — ქალაქის ძველ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბნებში აღდგენა-განაშენიანების დროს თითქმის მთლიანად შენარჩუნებულ იქნა ძველი, ფეოდალური თბილისისათვის დამახასიათებელი, ხუროთმოძღვრული სახე; აქ კი, გარეთუბანში მეტი იყო შესაძლებლობა შექმნილიყო თბილისის ასლებური, ბურჟუაზიული ქალაქის შესაფერ ყაიდაზე მოწყობილი და განაშენიანებული, ცენტრალური უბნები. ამდენად, გარეთუბნის ტერიტორია გახდა ქალაქის მომავალი ცენტრალური უბანი, ხოლო „სარუსეთი“ გზა — ამ უბნის მომავალი ხუროთმოძღვრული გეგმარების მარჯვლადიერული და შემკრებთ არტერია, პარადული მაგისტრალი. ქალაქთმშენებლობის ისტორიაში ბევრია მაგალითი, როდესაც ქალაქის ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის მთავარი მაგისტრალი და მასთან ახლოს მდებარე უბნები ყალიბდება ქალაქის ცენტრალურ ქუჩად, ცენტრალურ უბნებად. მხოლოდ თბილისის ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა ამ უბნების არა გეოგრაფიულ ცენტრში, კომპაქტურად კონცენტრირება, არამედ სივრძივ, ვიწრო ზოლად განვითარება.

უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლებისათვის ყოფ. ერენის მოედანს და ყოფ. გოლოვინის პროსპექტს ხუროთმოძღვრულად ჩამოყალიბებული სახე ჰქონდათ. ქალაქის საზღვრები ე. წ. „მოსკოვის საყარაულომდე“ (ახლანდელი რუსთაველის მოედანი) მიდიდა და აქედან ასიოდ ნაბიჯზე იწყებოდა სოფ. გარდისუბანი. ამავე დროისათვის მთლიანად გაქრნენ სალაღაის „წალკოტინი და სავარდენი, ყოვლის ხილითა და



საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმი (ყოფ. სასულიერო სემინარია. აგებულია XIX. ს. 30 წ. წ.)

ყვავილითა სასვე. ისინი შეცვალა ბურჟუაზიულმა საცხოვრებელმა სახლებმა.

XIX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან ქალაქი ახალი, ცენტრალური უბნების (განსაკუთრებით სალაღაისის) სიბინ ჯანაშას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (ფასადის რეკონსტრუქცია 1929 წ. აპრ. 6. სკვეროვი), პირტალი.



საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმი (ყოფ. სასულიერო სემინარია. აგებულია XIX. ს. 30 წ. წ.)

გეგმარება, შეიცავს ვარკვეულ გეგმიან საწყისებებს. ეს პროგრესული მოვლენა იყო. მარამ ვინაიდან არ არსებობდა მთლიანად თბილისის ერთიანი ქალაქგეგმარებითი იდეა, ერთიანი გეგმა, ამიტომ მისი მხატვრული სახე ხშირად შემოხვევით ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. ასეთ აიხსნება, რომ XIX საუკუნის მანძილზე თბილისის ცენტრალურ უბნებში შეიკავეთ არ შექმნილა არც ერთი ნაშენი სურათით მოძღვრული ანამბლი. მხოლოდ ქალაქის ცხოველსატულ ბუნებას, მის რელიეფს და შექმნიდა სასურველი კორექციები.

როგორც იყო ქალაქის ცენტრალური უბნების ცალკეული ნაგებობების არქიტექტურა? როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში ნაგებობების ხუროთმოძღვრება ორ სახეს ატარებდა. ამ მოვლენის თვალს გადევნება განსაკუთრებით ნათლად შეიძლება ცენტრალურ უბნებში შემორჩენილ ნაგებობებზე.

უკვე 1802 წელს ქართველმა ოსტატებმა ააგეს მთავარ-მართების (შემდგომში მეფისნაცვის) სასლი. 1807 წელს იგი ახალდა შენობა შეცვალა. ეს იყო იმდროინდელ თბილისში ყველაზე მნიშვნელოვანი შენობა. მისი ხუროთმოძღვრება (რომელიც XIX ს. 20-იანი წლებისათვის ორჯერ-სამჯერ იკვებ გადაკეთდა) იმ დროს რუსეთის იმპერიაში ვაბატონებულ სტილისტიკურ ნიშნებს ატარებდა და ამდენად ტონის მიმცემი იყო ქალაქში ოფიციალური არქიტექტურისათვის. იმდროინდელ რუსეთში ეს გავრცელებული ხუროთმოძღვრული მიმდინარეობა ე. წ. გვიანი რუსული კლასიციზმი იყო. ამ კლასიციზტურ შენობებს აბაფერი ქმნიდათ საერთო ქართულ არქიტექტურულ ტრადიციებთან. ასეთი ყადის ნაგებობები პირველად, რასაკვირველია, ცენტრალურ უბანში იგებოდა. რამდენიმე მათგანი ახლაც არის შემორჩენილი: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის შენობა (1824 წ.), საქართველოს სსრ ხელთიფების სახელმწიფო მუზეუმის შენობა (XIX ს. 30-ანი წლები) და სხვ.

ხულ სხვაგვარად წარმოებდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. თუ ოფიციალურ მშენებლობაში რუსეთიდან გადმონერგობა რუსულმა კლასიციზმმა თითქმის მთლიანად

შთანქუა ეროვნული ტრადიციები, საცხოვრებელ სახლთა მშენებლობაში ადგილი ჰქონდა მის ქარბონული სინთეზს. XIX საუკუნის განმავლობაში შექმნილ ადგილობრივ ტრადიციებთან. ფასადთა „ჟლასიკური“ ჩონჩხი მეომისა ხის დიდი გადახურული აივნებით და გარე კიბეებით, მოხარატული მონაკლებით და თაღებით, გადასავალიებით, შუშანახევრებით. თავისებობა ამ სახლების გეგმებზე: აივნებს, ტრასებს, კიბეებს აქ ზოგჯერ უფრო დიდი ფართობი უჭირავს, ვიდრე თვით თავსებს. ასეთი მონხდენილი „თბილისური“ საცხოვრებელი სახლების ცენტრალური უბნების ტერიტორიაზეც გვხვდებიან პუშკინის ქ. № 7, მელაისის ქ. № 16, 33, 40, მარაბული ქ. № 3, გრიბოედის ქ. № 16, 9, ახსენს ქუჩა № 16, 24, 28, ბეგის ქ. № 21 და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ისევე, როგორც რუსეთში და ბურჟუაზულ მსოფლიოში, თბილისის არქიტექტურაში ფეხს იკიდებებს ეკლექტიკიზმი, იკარგება ყოველგვარი კავშირი ეროვნულ არქიტექტურულ ტრადიციებთან. ამ პროცესის საკუთესო მაჩვენებელია თბილისის ცენტრალურ უბნებში იმ პერიოდში აგებული დიდი, კაპიტალური ნაგებობები: ცერუნიენასასული ფორმებით შექმული პიონერთა სახახლე (ყოფ. მეფის ნაცვის) სახახლე, რომლის რეკონსტრუქცია არქ. ოტო სიმონსონის პროექტით მოხდა 1865-68 წ. წ.); „ბავულო“-სტილით აგებული ყოფ. სახაზინო, აგეამად ოაზრისა და ბალეთის სახ. თეატრი (1880-1896 წ. წ.); და აწინდელი ქალაქის საბჭოს შენობა (XIX ს. 80-იანი წლები); ბაროკოსა და როკოსოს სტილისათვის დამახასიათებელი მორცხვასა და კომპოზიციური ხერხების გამოყენებით აგებული რუსთაველის სახ. დრამატული თეატრის შენობა (1901 წ.) და განსაკუთრებით სალაღაკში აგებული ბურჟუაზული ფენების საცხოვრებელი სახლები. საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში თბილისის მშენებლობაში კვლავ გაბატონდა მოდური მიმდინარეობა, ე. წ. მოდერნი. ამგვარი ნაგებობების ტიპური ნიშნუა კვსხოველის ქუჩაზე მდებარე ფინანსთა სამინისტროს დიდი შენობა. ზემოთ ნახსენები ნაგებობები, მხატვრული მიდგომის სიჭრელესთან ერთად (რაც ვასაგებია ბურჟუაზული არქიტექტურის განვითარების აინდნული პერიოდისათვის), ჩინებელი სამშენებლო ხარისხითაა ნაგები, ხშირად ხელ პროფესიონალი არქიტექტორის სამაოდ გაწაფული მეთი ატყვია.

აქვე უნდა შეგვირდეთ ერთ პროგრესულ მოვლენაზე იმდროინდელ ქართულ არქიტექტურაში. ცენტრალური უბნების ტერიტორიაზე მდებარეობს ორი მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელთა არქიტექტურაში ჩანს ცდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმების აღდგენისა. ასეთებია ქვაშეთის ეკლესია, განსაკუთრებით კი, დღევანდელი კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის შესანიშნავი შენობა (არქ. ა. კალენი და მხატვარი პ. პრინცესკი. XX საუკუნის ათიანი წლები). ისიც საინტერესოა, რომ ამ ნაგებობების შექმნაზე მუშაობდნენ ქვაზე კვეთის ცნობილი ქართველი ოსტატები ნიფოფიტე, ლავრენტი და ნიკო ალაძეები.

XIX საუკუნის და XX საუკუნის მიჯნაზე თბილისის ცენტრალურმა უბნებმა იცვალეს ხუროთმოძღვრული სახე. განაშენიანება უფრო მჭიდრო გახდა, იმატა საერთოლიანობამ, ნაგებობების ხუროთმოძღვრებამ მიიღო იმ დროის მსოფლიოს სხვა ქვეყნების, პირველ რიგში, რუსეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სახე — სტილითა ეკლექტიკური აღრევა. ამასთან, გაუმჯობესდა ამ უბნების კომუნალური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ყოფილი გარეთუბანი და მისი მაგისტრალი — გოლოვინის პროსპექტი გადაიქცა კაპიტალისტური ქალაქის ტიპური ბურჟუაზულ-არისტოკრატულ ცენტრად. ამავე დროს ქალაქის ცენტრის მარგულიორებით ქალაქთმშენებლობითი როლი აქვე, ცენტრალურ უბნებში თავდებოდა, იგი, როგორც კაპიტალისტური ქალაქებისათვის არის დამახასიათებელი, კონტრასტულად გამოიყურებოდა მოუწყობელი განაპირა უბნების, მუშათა რაიონების ჯურღმულეების უფროსე.



თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა წლების მანძილზე ქალაქის ცენტრალურმა უბნებმა სრულიად იცვალა სახე, ეს არ იქნება საკმარისი. სახე იცვალა არა მარტო უბნის უწყნებმა და მოედლებმა, მისმა არქიტექტურამ და კეთილმოწყობამ. მისდა დიდი ხარისხობრივი ცვლილებამ — თბილისის ძველი ცენტრი გადმოქცა ახალი სოციალისტური ქალაქის ცენტრად. გასული ოროცი წლის მანძილზე ქალაქის ცენტრი მდამო იყო ქართველი ხალხის, ქართულ საბჭოთა ხუროთმოძღვრებას, სასურველს. მაგრამ ამ ცენტრალურ უბნებს 40 წლის დიდი მშენებლობის მანძილზე უპირისპირდება „ეკვირბება“ ძველი რეკონსტრუირებული და ახლად დაგვიმარებული გარეუბნების გვეგობა, კეთილმოწყობა და განაშენიანება, მთლიანი ხუროთმოძღვრული სახე. თბილისის ცენტრი, კეთილმოწყობისა და ხუროთმოძღვრების მხრივ, უკვე აღარ გამოირჩევა კონსტრუქციულ და ქალაქის განაკორექციონებისაგან. ეს მეტ უმსა და ლაზთას მატებს ჩვენი სოციალისტური მფარველების ცენტრალურ უბნებს, ზრდის მისი პირველი ძეგლისადმი მომთხოვნელობას, აღივსებს მის ახარბორვებში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ყოველ ეტაპმა თავისი კვალი დააბნია ცენტრალური უბნების ზრდა-განვითარებას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ეტაპზე აქ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თუ ახალი ნაგებობები, საეტაპო იყო ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრებისათვის. აქვე არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს ყველაფერი ერთ მეტად დიდ სიძველესთან იყო დაკავშირებული — ქალაქის ცენტრალური უბნების საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის უკვე მთლიანად განაშენიანებული იყო კაპიტალური ნაგებობებით. სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის და ხუროთმოძღვრული მემკვიდრეული საშუალებები იყო.


ქართული არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე (1921—1932 წ.წ.) ერთ-ერთი მტკიცეული შემოქმედებითი საკითხი იყო მდიდარი ნაციონალური არქიტექტურული ტრადიციების ათვისება და შემოქმედებითი გამოყენება ხარისხობრივად და იდეურად ახალ, რთულ საბჭოთა არქიტექტურულ პრაქტიკაში. ამ საკითხზე სწორი შემოქმედებითი პასუხის გაცემა მეტად საჭირო იყო, ვინაიდან ამ დროს იყო ფსევდორეონული ფორმებით გატაცების, ძველი ხუროთმოძღვრული ფორმების შექანიური გამოყენების საკმაოდ ხშირი შემთხვევები. ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე 1929 წელს დამთავრდა საქართველოს სახელმწიფო მუსეუმის შენობის ფასადის რეკონსტრუქცია (არქ. ნ. სვერიძე). იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მოტივებისა და კომპოზიციური ხერხების თანამედროვე ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში შემოქმედებითი გამოყენების პირველი დადებითი დეაა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ფართო, გვეგან მშენებლობას. 1932—1933 წ.წ. იწყება ქართული საბჭოთა არქიტექტურის ახალი ეტაპი, რომელიც დიდი სამამული ომის დაწყებამდე გრძელდება. დიდი მშენებლობა გაიშალა თბილისში 1932—34 წ.წ. მეღვინეთი გენერალური გეგმის მიხედვით. გვეგანმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ათიოდ წლის მანძილზე მთლიანად უცვალა სახე ქალაქის ცენტრალურ უბნებსაც. მარტო ჩატარებულ მუშაობათა ჩამოთვლაც კი იძლევა ფართო მასშტაბის სურათს: ლენინის სახელობის მოედანზე აღებული იქნა ყოფ. ქარვასლის შენობა და იგი გადაიტყა ფართო, ახალი თბილისის შესაფერი მასშტაბის მოედნად; დინგრა ე. წ. ქაშთან კელსია (1929 წელს) და შემდგომ გაფართოვდა ვიწრო ყელი (ყოფ. სასახლის ქ.), რომელიც აკავშირებდა ლენინის მოედანსა და რუსთაველის პროსპექტს; გაფართოვდა ელბაქიდის ალმართი; ჩატარდა რუსთაველის პროსპექტის სრული რეკონსტრუქცია (მთისნა ტრამვაი, მოსაფლტა, მიოწყო გაზონები);

მტკერის მარჯვენა ნაპირზე სტალინის სახ. და კარლ მარქსის სახ. ხიდებს შორის გაყვანილი იქნა თბილისში პირველი სანაპირო პორტი ქუჩა და საფუძველი ჩაეყარა დიდ სანაპირო პორტს დაიწყო მანდაღეთის მთის ფერდობების გამწვანება და მის შემო პლატოზე გაშენდა ი. სტალინის სახელობის დიდი პარკი; ხროცო სალაღაის მთის კიბზე მოეწყო კომპაგვობის ლეივანი... ჩატარებულა სამუშაოებმა არა მარტო ხუროთმოძღვრულად უცვალა იერი ქალაქის ცენტრალურ უბნებს, აიამედ გადაატარა ზოგერთი მანძილზე ოვანი ქვედა ქაქიმე ნებლობითი მკითხი. კვირდ, — ქუჩების გაფართოებამ და სანაპიროს გაყვანამ რადიკულურად გააუმჯობესა ცენტრალური უბნების გარეუბნებთან სატრანსპორტო დაკავშირების საკითხი, ხოლო ახალი მწვანე მასივების გაშენებამ საფუძველი ჩაუყარა მანადლე მცენარეულობით დარბიბი თბილისის სისტემატური გამწვანების საქმეს.

აღნიშნულ პერიოდში ქალაქის ცენტრში ბევრი ხუროთმოძღვრულად საინტერესო ნაგებობა აშენდა: ძველი პუბლიკისტის ადილუტ რუსთაველის სახ. კინოთეატრი (არქ. ნ. სვერიძე). 1939 წ.); ფუნგიკონის ზემო სადღურის მსუბუქი და ნათელი შენობა (არქ. არქ. ზაქარია და ნიდედა ქურდიანიბი, თანაავტორი, — ა. ვლობუკვი. 1938 წ.); დიდი საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პრ. დასაწყისში (არქ. არქ. მ. მელიქ, არჩ. ქურდიანი, ს. ყუნანგვილი. 1939 წ.) და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისათვის ჰქონდა რუსთაველის პროსპექტზე აგებულ ორ უნარმაზარ შენობას — საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზემო კორპუსს (არქ. ვ. კოკორინი; თანაავტორი გ. ლევაკე. 1938 წ.) და მარქსისმეგონიზნისის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს (არქ. ა. მუსხელი. 1938). ამ ნაგებობების დასაპროექტებლად გამოცადებულ იყო კონკრეტები, რომლებიც კარგი პროფესიული სკოლა იყო ქართული საბჭოთა არქიტექტურის ახალაზრდა თაობისათვის. კონკურსებმა გაზამდაღვა ბევრი ნიჭიერი ხუროთმოძღვარი. თვით ნაგებობების არქიტექტურა მთავალმხრივ არის საინტერესო: გვემარებამი და ფსადებში ნაციონ-

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის უბანი





ალმინსტარციული შენობა (1953 წ., არქ. არქ. კ. ჩხეიძე, შ. ჩხიკვაძე)

ნალური ფორმისა და სოციალისტური შინაარსის ძიებისადმი ახლებური მიდგომა; ახალი საშენი მასალებისა და კონსტრუქციების და ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასლების ფართო გამოყენება; არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგების სინთეზი; ხალხური ხელოსნობის აღდგენის და გა-

მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (1938 წ., არქ. ა. შალვაიანი)



მოყენების ცდები და სხვ. ამ ორმა შენობამ სრულიად ახალი სახე და მასშტაბი მიანიჭა ქალაქის მთავარ მაგისტრალურ რუსთაველის პროსპექტს.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში კვლავ განახლდა ფართო მშენებლობა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს დედაქალაქში. გრძელდება თბილისის ცენტრის კეთილმოწყობა და განაშენიანება. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ისე, როგორც ყველგან, ქალაქის ცენტრალურ უბნებში მიმდინარეობს არა მარტო სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები, არამედ ახალი, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობაც.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო ომის შემდგომ წლებში ჩატარდა მთავრობის სახლის უბანში. 1953 წელს დამთავრდა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა, საფასადო კორპუსის მონუმენტური შენობის აგება (არქ. არქ. ვ. კოკორინი, გ. ლევაგა). ამ შენობის ხუროთმოძღვრება დიდი მონაპოვარია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა არქიტექტურისა. იგი გამოირჩევა გვერძისა და ფასადების ნათელი და მკაფიო კომპოზიციით, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მდიდარი ტრადიციების გააზრებული გამოყენებით, დეტალის კულტურით. ფასადის ფერადოვნება და მასშტაბი, ფორმათა სიმკაცრე და მონუმენტურობა, შენობის შუაში ფართო კიბეები, პროპილედები და ტერასები, მთავარ ფასადზე დამაგვირგვინებელი რელიეფური ფრონტონი — ყველაფერი ეს მთავრობის სახლის საუნიშო იერს ანიჭებს.

უკანასკნელ წლებში მთავრობის სახლის ირგვლივ განაშენიანება სულ უფრო და უფრო დასრულებულ ხუროთმოძღვრულ სახეს იღებს. სამი ნაგებობის — ჰიონერთა სასახლის, მთავრობის სახლისა და ი. სტალინის სახ. I სკოლის, — ხუროთმოძღვრულად გამაერთიანებელი კომპოზიციურ ხერხს წარმოადგენს აოდელი. ისინი საკმაოდ უკან არიან დაწვეული პროსპექტის წითელი ხაზიდან და წინ დარჩენილი არე მწკრივ ნარკვევითაა დაწყობილი. ამ შენობებს ესაშება კავშირგაბმლობის სახლის შენობის ახალი რეკონსტრუქციული ფასადი (არქ. ი. ჩხენკელი. 1954 წ.). ახვევი დამწვევდა ახალი სკვერით პროსპექტის მონაკვეთი, სახლის მონუმენტურ ფასადს ეკუთვნის.

I სკოლის წიხ მოწყობილ სკვერში დაიდო დიდი მშენებლების ოლია ჭაჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი (ავტორები: მოქანდაკეები — ვ. თოფურაძე და შ. მიქაბტაძე, 1958 წ.). ასევე დამწვევდა ახალი სკვერით პროსპექტის მონაკვეთი, ქვაშეთის ეკლესიის წინ ერთსართულიანი საეპიტრო ნაგებობის აღების შემდეგ.

იკვალა სახე ქალაქის ცენტრალურმა მოედანმა. რომელიც ვ. ლენინის სახელს ატარებს. უკანასკნელ წლებში მოედნის ხარჯზე ორჯერ გაფართოვდა ბუქნინის სკვერი და ამათ რამდენიმე ვასწორდა მოედნის ჩრდილოეთი მხარის ის შემთხვევითი კონფიგურაცია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წარმოიშვა. აქვე 1960 წელს მოეწყო მიწისქვეშა გადასასვლელი ქვეითათვის. ვ. ლენინის ძეგლის გარშემო მოეწყო სკვერი, ზოლო ტრეტუარების გასწვრივ — გაზონები.

1956 წლის 21 აპრილს მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა ვლადიმერ ლენინის მონუმენტური ძეგლი (ავტორები: მოქანდაკე ვ. თოფურაძე, გ. ჯაფარიძის თანამონაწილეობით; არქ. არქ. გ. მელქაძე, შ. კავლაშვილი, კ. ჩხეიძე და გ. ხერუშიძე).

დიდი სამუშაოები ჩატარდა 1958 წელს ულბაქიძის აღმართის ახალი მონაკვეთის გასაყვანად. მანამდე ულბაქიძის აღმართი მხოლოდ რუსთაველის მოედანთან უერთდებოდა პროსპექტს.

ულბაქიძის აღმართის ახალმა მონაკვეთმა საფუძველი ჩაუყარა სატრანსპორტო კვანძის შემდგომ რეკონსტრუქციას. ამავე უბანში, ომისშემდგომ წლებში დიწყო და დამთავრდა „საქანაშორის“ დიდი ადმინისტრაციული სახლი (არქ. არქ. კ. ჩხეიძე, შ. ჩხიკვაძე). ამ შენობის ეზოში დგას საპაერო-საბავირო გზის ქვედა სადგური (არქ. კ. ჩხეიძე 1958 წ.).

როგორც ერთი თვალის გადავლებითაც დავინახეთ, ქალაქის ცენტრალური უბნების ხუროთმოძღვრებაში მკაფიოდ

ასანა უკანასკნელი საუკუნეზაზვრის მანძილზე ქართული არქიტექტურის განვითარების გზეი. ყველა ავი თუ კარგი, ყველაზე უფროდ აქ, ცენტრალურ უბნებში, იჩენდა თავს. ეს გზა ნათლად ვერხვებდა და ურთიერის უპირისპირებს იმ ორ მიდგომას, რომლებიც ახასიათებდა არქიტექტურის კაპიტალის განვითარების პერიოდში და სოციალისტურ ეპოქაში.

აქედით ერთი კერძო მაგალითი. მდინარე მტკვარი ძველ-თავაზვე თბილისის მთლიანი ორგანიზმის არქიტექტურაში უშუალო მონაწილეობას იღებდა. მტკვრის ვიწროებითაა გაშენებული ქალაქი, თავისი ხანაზის სახლების ფსაღებში, მდინარისაკენ იყო მიმართული. მდინარის ნაპირებთან აგებდნენ სასაღვსებსა და დიდ ეკლესიებს.


XIX ს-ში, თბილისის კაპიტალისტური განვითარების წლებში, მდინარე დაკარგა ქალაქმშენებლობითი მნიშვნელობა. მტკვრის ნაპირები იქცა უსუფთობის ბუდედ. აუზ-ცხელ ზარას აყენებდა მოსახლეობას ხშირი წყალდიდობა. ქალაქმა ზურგი იბრუნა მდინარისაკენ. მტკვარს გადმოყურებდნენ „შემოსავლიანი“ სახლების უკან ფსაღების უსაომაზარი მიშველი კედლები. ამ უკვემო მშენებლობის ნაშთები დღემდე შემორჩა თბილისის ცენტრალურ უბნებს. მაგ. სასტუმრო „თბილისის“, რუსთაველის სახ. დრამატული თეატრის უკანა ფსაღები, რომლებიც ამხანაჯებენ ქალაქის სავრთო ხედს, ამწებული არიან თბილისის ბუნებრივი პირობების, მისი რელიეფის გაუთვალისწინებლად.

საბჭოთა წლებში მტკვარი ბეტონით, ქვით და მწვანით შემოსა. მისი ნაპირები გადაიტყა შრომელთა დასვენების საყვარელ ადგილად. ქალაქმა მიიღო კონკრეტული ფართო, მდინარის დინების პარალელური მნიშვნელოვანი მაგისტრალი. გაიზარდა და ახალი მნიშვნელობა, მიეცა მტკვრისა და მისი სანაპიროების მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ მხარეს: ახლა იგი თბილისის მთლიანი ანსამბლის განუყოფელი ნაწილია. ქალაქმა, მისმა ცენტრალურმა უბნებმა, ყველა პირი იბრუნა მდინარისაკენ. ეს თბილისისათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. საბჭოთა წლებში აგებული პირველი დიდი ნაგებობა, რომლის უკანა, მეოთხე ფსაღი მტკვრის სანაპიროებს გადმოყურებს და ხუროთმოძღვრულად ჩინებულად არის გაფორმებული, არის მარქსიზმ-ლენინიზმის თბილისის ფილიალის შენობა.

ყველა ქალაქის ცენტრალური უბნები ყველაზე პარადული და დასამახოვრებელია. მაგრამ თბილისის ცენტრალურ უბნებს ერთი განუყოფელი თვისებურება ახასიათებს — ისინი ქალაქის ყველაზე „გამოჩინებულ“ ადგილზე არიან განაშენიანებული. არა მარტო ნაგებობები, ამფითეატრად განლაგებული მთის კალთებზე, არამედ მთლიანად ბუნება იღებს მონაწილეობას მის განუყოფელ, ცხოველსატულ არქიტექტონიკურ წყობაში. ქალაქის გული ვიწრო რკალად ეკვრის მამადავითის მთის კალთას და გამოიყოფა ნაგებობათა სიმალლით და მასშტაბურობით. რელიეფის თვისებურების გამო, ნაგებობების საშუალებით ქალაქის სხვადასხვა უბნადან თავისუფლად შეიძლება „წაიკითხო“ რუსთაველის პროსპექტის ორკოლომეტრიანი ტრასა — ლენინის მოედნიდან, ვიდრე რუსთაველის მოედანამდე. აქ აგებნილი ცაოკველი ნაგებობის ხუროთმოძღვრული წონა ქალაქის მთლიან ანსამბლში კომპოზიციურ ხედვებს სხვადასხვა წერტილიდან, — იგი სხვადასხვაგვარად იწყება ქალაქის მრავალპლანიან პანორამაში. უბანს დინჯად გადმოყურებს დიდი, ტრამპევილი მოყვანილობის მასივი — მამადავითის მთა ფუნაქულითორის რკინიგზის ხაზით, ზედა სადგურის შენობით და სატელევიზიო კოშკით დაშვებულში. ქალაქის ცენტრი თითქმის გულში ჰყავს ჩახუტებული მამადავითის, სახმერთიდან კი ცენტრალურ უბნებს საოლაკის მთის პორიონტული ხაზი ჰკეტავს. აქ კომკავშირის ხეივანს მწვანე ნარგავების, ძველი ნარიყალას და თბილისის სიმბოლო-მონუმენტის — „დედაქალა-

ქის“ რბილი სილუეტები აგვირგვინებს უბნის ხედს. ეს უბნები, ბუნებისა და არქიტექტურის ეს ორგანული შერწყმა, მოდელი ნად მიუღ თბილისს განუყოფელად და დასაბამსოვრულად არქიტექტურულ სახეს, კომპლექსური ანტიკის განაშენიანებისა და ბუნების ერთი და იმაველი თვისების წარმოქმნადად დიდი საშუალებია გახსოვსული ელბაქიძის აღმართის რაიონისა და აკაკის ძეგლი (1958 წ. მოქანდაკეები ვ. თოფურბი, შ. მიქაბაძე, არქ. გ. მეღვინე).

კიდევ უფრო დამწვევად და გალამაზდება ქალაქის ცენტრი უახლოესი წლების მანძილზე. ქართველი არქიტექტორები უშუალოდ ქალაქის გულის — ა. ს. ლენინის მოედნის სრულყოფილი არქიტექტურული ხასიათის შესაქმნელად, დიდი საშუალებია გახსოვსული ელბაქიძის აღმართის რაიონისა და აკაკის ძეგლი (1958 წ. მოქანდაკეები ვ. თოფურბი, შ. მიქაბაძე, არქ. გ. მეღვინე).



ნისა და რუსთაველის სახ. მოედნის სარკვეონსტრუქციოდ. ამ უბანში განზრახულია აშენდეს ქალაქში ყველაზე დიდი, კომფორტისა და სტუმრო (პროექტის ავტორი არქ. თ. კალანდარიანი). აიგება აღმინსტრაციული და საცხოვრებელი სახლები, გაფართოდება ქუჩები, მოედნები და პარკები.

საქართველოს ქალაქების დედას — თბილისის მომავალშიც ექნება ლამაზი და კეთილმოწყობილი ცენტრალური უბნები, ისეთი, როგორიც შევერება კომუნისმის მშენებელია გახსოვსული ესთეტიკურ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს. ამის საწინდარი საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვებით და შედარდელის რეალური და ნათელი გეგმები.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება 1960 წელს

ნიკო კვეციანი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სკკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უნიშვნელოვანეს დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, 1960 წლის მანძილზე მრავალფეროვანი ნაყოფიერი შეშაბათი გასწია.

პირველი ღონისძიება იყო ახალდარსებული სახალხო თეატრების შემართვის შესახებ მოწვეული რესპუბლიკური კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა საკითხები: „საქართველოს სახალხო თეატრები თანამედროვე ეტაპზე“ (მომხსენებელი საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტკავმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი), „საქართველოს სახალხო თეატრების შემოქმედებითი გზები“ (მომხსენებელი რეჟისორი შ. მესხი), „კონფერენციამ რესპუბლიკის 22 სახალხო თეატრსა და ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრში საზოგადოებამ მიავლინა შემოქმედებითი ბრიგადები. შათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მუშაობაში.

საზოგადოების მიერ მოწვეული მეორე კონფერენციაც სახელმწიფო და სახალხო თეატრების სადადგმო ნაწილების მუშაობას მიეძღვნა. წაითხულ იქნა სამი მოხსენება: „მიმდინარე სექტორების მხატვრული გადგრძობა“ (მომხსენებელი ხელოვნების დამს. მოლგაწე ვ. ლაბაძე), „სადადგმო ნაწილის მდგომარეობა თეატრში“ (მომხსენებელი გ. ხუნდაძე და მ. განიასკი).

გარდა ამისა, ქუთაისში ჩატარდა თეატრის მაყურებელთა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გაიმოქმედებთა „ხელოვნების“ მიერ გამოცემული წიგნების მეთხუთმეა კონფერენცია- წართხული იქნა მოხსენებები: 1. „თანამედროვე ქართული დრამატურგია“ (მომხს. შერვალი ალ. ადამია), 2. „ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი“ (მომხს. ხელოვნების დამს. მოლგაწე დ. ჯანდიერი). შემდეგ მეთხუთმეა ფართო აუდიტორიაში განხილული იქნა წიგნები „უშაბად ჩხეიძე“, „ვასო ყუბიტაშვილი“. ეფემია მესხი და „სერგეი მესხი“, მოხსენებები წაიკითხეს გ. სამარაძემ, მ. ტუსკიამ, ვ. ქუთათელაძემ და ს. არგულაძემ.

მაყურებელთა კონფერენცია მოეწყო აგრეთვე ჭიათურაში. განხილულ იქნა აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სექტორები. მოხსენებები წაიკითხეს ხელოვნების დამს. მოლგაწემ ნ. გოძიაშვილმა და კრიტიკოსმა ბ. აბულაძემ.

უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა ამიერკავკასიის მოზარდ მაყურებელთა თეატრების სექტორების დათვლიერება. 1960 წელს ასეთი ღონისძიება ჩატარდა ქალაქ ერევანში. სადაც მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი წარდგინული იქნა სექტორალ „ციციათი“ (დრამატურგ ვ. ნახუცარიშვილის მიერ ინსცენირებული ალ. ყაზბეგის მოთხრობა). ამ სექტორულ დათვლიერებაზე მაღალი შეფასება მიიღო. გარდა ამისა, საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო სრულყოფილი თეატრალური საზოგადოების გამსვლელ სესიებზე, რომელიც დაღესტანის ასს რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკში გაიმართა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. ყუბიტაშვილმა წაითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს სახალხო თეატრების შემოქმედებითი მუშაობა“, ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ფრანგიშვილმა — „საქ. სახალხო თეატრების რეპერტუარი“.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო სპეციალური სესიები. წაითხულ იქნა მოხსენებები: „საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავი“, მომხს. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ჯაფარი, „ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა ისტორიული მეგობრობა“, მომხს. სახალხო პოეტი აკად. ი. გრიშაშვილი, „ქართული და აზერბაიჯანული თეატრების მეგობრობის ისტორიისათვის“, მომხს. თეატრის ისტორიკოსი ს. გერსამია.

საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიებზე მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. ს. კაკაბაძე — „ქართველ და სომხ ხალხთა ისტორიული მეგობრობა“, ხელმოწ. მოლგაწე გ. ბუნციაშვილი — „სომხური დრამატურგია ქართულ სცენაზე“ და „ქართული დრამატურგია სომხურ სცენაზე“.

გარდა ამისა, მოეწყო ორი გამსვლელი სესია. პირველი ჩატარდა გორში და მიეძღვნა ქართული თეატრის 110 წლისთავს. აქ წაითხული იქნა მოხსენებები: გიორგი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება, — მომხს. პროფ. დ. გამყარაშვილი და „გიორგი ერისთავის თეატრი“, — მომხს. ს. გერსამია.

მეორე სესია გაიმართა ზუგდიდში და მიეძღვნა გამორჩეული ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ წაითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: „შალვა დადიანი, როგორც საზოგადო მოღვაწი“, — მომხს. თ. ევაძე, „შალვა დადიანის დრამატურგია“, — მომხს. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ციციშვილი და „შალვა დადიანი და ქართული თეატრი“, — მომხს. მწერალი როდიონ ქორჭია.

საზოგადოებამ მოაწყო დისკუსტები: რუსთაველის სახ. თეატრის სექტორალ „ბასტიონზე“ (მომხს. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. ბუნციაშვილი), მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამ სექტორულზე: „ჩემი ყვავილი“ (მომხს. თ. ევაძე), „ორი ფერი“ და „ამერიკული ტრაგედია“ (მომხსენებლები დ. ბუნციაშვილი და მ. მრველიშვილი), გრიბოდოვის სახ. თეატრის სექტორალზე „უკანასკნელი განერება“, „თხუნელა“, „მორეული ენა“ და „ყველის ადამიანებად რჩებიან“ (მომხსენებლები ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. შალვაშვილი და ეთ. ბუმუშვილი).

საზოგადოებამ ფართო მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასბაძის საბიბლიო კლამში (მომხს. გ. ანაშიძე) და საქ. სსრ სახალხო არტისტ ემ. აფხაიძის საუბიბლიო კლამში (მომხს. შ. ძიძიერაძე).

საზოგადოების აქტიური მონაწილეობით გაიმართა აგრეთვე ქართული თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი საღამოები: ხელ. დამს. მოლგაწის დ. ძნელაძის (მომხს. პროფ. ვ. ხუტუა), მაღიკო მრველიშვილის (მომხს. ხელ. დამს. მოლგაწე აკ. ფაღავე), რესპუბლიკის დამს. არტისტის ნ. სირინაძის (მომხს. ანა ღვინიაშვილი), პ. თათიშვილის (მომხს. ს. აფხაიანი), ძველი სენის მოღვაწე ს. ჩიკაძის (მომხს. ვ. ფრანგიშვილი), ვ. სვანელის (ჭიათურა, მომხს. დ. ჩხეიძე), თამარ ყიფშიძის (რუსთავის სახალხო თეატრი, მომხს. პ. ფრანგიშვილი), დ. ღურტიშვილის (ჭიათურა, მომხს. დ. ჩხეიძე), ბ. ბუმუშვილის (რუსული მოხ. მაც. თეატრი), ძველი სახალხო თეატრის სენის მოღვაწე ვიფანე რუგულიშვილის (მომხს. გ. ბუნციაშვილი) და სხვათა საღამოები.

საზოგადოება პერიოდულად აღნიშნავს თეატრის გამორჩეული მოღვაწეების დამსახურებას და სხვათა. საანგარიშო წელს საღამოები მიეძღვნა აკაკი წერეთელს (მომხს. ს. გერსამია), გ. არაღლე-ოშენელს (ქარელში, მომხს. ვ. ფრანგი-

შვილი), მაკო საფარგო-ამაშიძისას (მომხს. აკ. ფაღავა), შალვა დადიანს (მომხს. ბ. ქუციტი), ანტონ ჩხვიძელს (მომხს. აკ. ფაღავა), ვ. კარაოვს (მომხს. ნ. შალვაშვილი) და განმარტებულ ალანდელ მსახიობს ალექსანდრე მოისისს (მომხს. სსრ კავშირის სახ. არტიისტი აკ. ხორავა).

1960 წლის მანძილზე საზოგადოება განაგრძობდა ნაყოფიერ შემოახივას რესპუბლიკის თეატრების მუშაობა შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცებისთვის. როგორც დედ-ქალაქის, ისე პერიფერიულ სახელმწიფო და სახალხო თეატრების ოცნახებშია პრივილეგიის რეჟისორის, დრამატურგის, კრიტიკოსის, მხატვრების, ჯიშვილებისა და თეატრმკვლდის შემაჯავებლობით. ისინი ადვილდებენ ათავალიერდებენ სპექტაკლებს და თეატრის კოლექტივებს უზარალებდენ თავიანთ აზრებს და შენიშვნებს.

განხილულ იქნა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის 3 სპექტაკლი, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის 3, გრიბოედოვის სახელობის თეატრის 4, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის 2 სპექტაკლი, პერიფერიული სახელმწიფო და სახალხო თეატრების: ახალციხეში 4 სპექტაკლი, ამბროლაურში — 3, ბორჯომში — 2, ბოლნისში — 2, ბათუმში — 7, გურჯაანში — 3, გორში — 7, დუშეთში — 2, ზუგდიდში — 4, თელავში — 3, ლაგოდეხში — 6, ლანჩხუთში — 2, მცხეთაში — 4, მახარაძეში — 4, ოზში — 3, ორჯონიკიძეში — 2, რუსთაველი — 3, სტალინში — 9 (ქართული და ოსური კოლექტივებისა), სოხუმიში — 11 (ქართული და აფხაზური კოლექტივებისა), სავარჯიშოში — 2, ყვარელში — 2, ჩოხატაური — 2, ცხაპიაში — 2, ცუგურში — 3, ფოთში — 4, ქუთაისში — 6, ჭიათურაში — 7, ხმელთაშენის კულტურის სახლი — 2, სამტრედიის — 1, სიღნაღში — 2 და სხვ. სულ ამ თეატრებში და კულტურის სახლების თეიმიშქმედ დრამატულ წრეებში განხილული იქნა 112 სპექტაკლი.

აღნიშნულ პრივილეგიის შედიოდნენ: პროფ. აკ. ფაღავა, პ. ფრანკოვილი, შ. აღსაბაძე, ვ. კილისანიძე, ნ. გომიშვილი, ვ. მურდულია, დ. ჯანელიძე, მ. შივაჯანაძე, მ. ჯავახიშვილი, აკ. დვივიძე, თ. ბაქაძე, ვ. სარიშვილი, დ. ხუციშვილი, მიხ. ჯიფიყრაძე, აღ. მიქელაძე, გრ. ხუციშვილი, ბ. აბულაძე, თ. ჯანელიძე, ვ. კვიციანიძე, მ. შივაჯიორაძე, ნ. ჩხვიძე, დ. გელდიანიშვილი, მ. მაჭავარიანი, მ. დედაშანიშვილი და სხვ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება სოხუმიის, მახარაძის, რუსთავეის კულტურის სახალხო თეატრების კოლექტივებში აწყოდა ლექცია-მოსხენებებს თემებზე: „ხელოვნების სპეციფიკა“, „ხელოვნების პარტიკულაობა“ (მომხს. ნ. გაბილია და ნ. ჭავჭავაძე), „მხატვრული გემოვნების აღზრდის შესახებ“ (მომხს. ი. თავაძე), „სამბუთის ხელოვნების განვითარების ზეგანი“ და „ძველი ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები“ (მომხს. დოც. ი. ურუშაძე), „ძველი ქართული თეატრი“ და „ქართული საბჭოთა თეატრი“ (მომხს. დ. ჯანელიძე), „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ და „ქართული საბჭოთა მუსიკა“ (მომხს. პროფ. ვ. ხუჭუბაძე), სტრუქტურის მუშაობა სახალხო თეატრში“ (ვ. მურდულია, მიხ. გიფიშვილი, ნ. გომიანიშვილი), „სახალხო თეატრის რეპერტუარი“ (ვ. კვიციანიძე, ვ. ლოლაძე, აკ. დვივიძე და სხვ.), „ტრიტი სპექტაკლი“ (მ. მაჭავარიანი), „ტრიტი სპექტაკლი“ (ვ. სარიშვილი, მ. დედაშანიშვილი), „ქორეოგრაფია დრამატულ თეატრში“ (მ. შივაშვილი), „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლის შექმნაზე“ (ხელ. დამს. მოლავაძე, დ. ლივინაშვილი, აღ. მიქელაძე, შ. აღსაბაძე), „სასცენო მერყელების ტექნიკა“ (მალ. მრეგლიშვილი, ბ. ნიკოლიანიშვილი და თ. ბაქაძე), „სანდრო ამბროსის ცხოვრება და შემოქმედება“ (ნ. გომიანიშვილი), „გ. არაგვი-იშხანის ცხოვრება და შემოქმედება“ (პ. ფრანკოვილი), „ავაგი წერეთელი და ქართული თეატრი“ (ვ. კვიციანიძე, ს. გერსამია, ე. დავითაია), „ქართული საბჭოთა დრამატურგია 40 წლის მანძილზე“ (ალ. ადამია, მიხ. ჯავახიშვილი), „თეატრების თეატრის წარმოშობის ისტორია“ (მ. მაჭავარიანი), „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა და მისი ამოცანები“ (დ. თელავაძე, ვ. ხიციშვილი, ნ. კვეციანიშვილი) და სხვ. სულ შემოხილნიშნულ თემებზე რესპუბლიკის თეატრებში ჩატარებულია 145 ლექცია-მოსხენა.

